ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 17 ივლისი, 2013 — №167 (6168) — ფასი: 30 თეთრი

16 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
დინოზავრები
ფასი გაზეთთან ერთად
10 ლარი




# ბელა მებონია: „სანდრო გირგვლიანის მკვლელობა დათა ახალაიას დაგეგმილია“



ყოფილი პოლიციელი გირგვლიანისა და ვაზაგაშვილის მკვლელობაზე სკანდალურ განცხადებას ავრცელებს გვ.3

## ნანა კაკაბაძე: „ნაციონალები ახალ ხელისუფლებასაც აშანტაჟებენ“

გვ.2

რა კომპრომატები არსებობს მეოცნებეებზე



## შსს მიქაუტაძის საქმეზე განცხადებას ავრცელებს

გვ.4

## გიორგი კანდელაკი: „ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი ლადო ბედუკაძე უნდა იყოს“

გვ.5





## მარგველაშვილმა შემცვლელი წარადგინა

გვ.4

თამარ სანიკიძე: „სასწავლო გეგმა გადაიხედება“

## რატომ ვერ იბრუნებენ ანდერძით დატოვებულ ქონებას

გვ.6

გვ.4



თემურ შაშიაშვილი: „ბევრისთვის პატრიოტიზმი თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მთავრდება“

ვაჟაგან ჩახალიანს ახალქალაქის გამგებლად ნიშნავენ

გვ.5



გვ.2



მიხეილ სააკაშვილი: „ჩემი აშენებული „სამართლიანობის აღდგენის“ მსხვერპლია“

გენადი ონიშჩენკო საქართველოს ახალ მთავრობას სუსტს უწოდებს

გვ.2



გვ.3



საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ახალი ფორმა ექნებათ

## ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებმა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სარჩელი უკან გაიხმეს

გვ.7

ISSN 1987-9385

5 რატიანი და თარგამაძე მარგველაშვილს შეცდომებს უთვლიან

7 ნინო ბურჯანაძე: „პაატა ბურჭულაძე არის ადამიანი, რომელმაც პროფესიონალიზმის ფასი ძალიან კარგად იცის“

6 მიქაუტაძის მეუღლეს შსს-ს გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით ეჭვები არ აქვს

7 მიკროავტობუსის მძღოლებს საზაფხულო მოსაკრებელი დაუწესეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნანა კაკაბაძე: „ნაციონალები ახალ ხელისუფლებასაც აშანტაჟებენ“

## რა კომპრომატები არსებობს მეოცნებეებზე

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

*— ქალბატონო ნანა, ენდიაის კვლევების მიხედვით, ნაციონალური მოძრაობა ყველაზე პოპულარული ოპოზიციური ძალა ყოფილა საქართველოში. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით? დაგვცინის ლუის ნავარო?*

— შთაბეჭდილება მრჩება ისეთი, რომ ენდიაის ან ვალდებულებები აქვს, ან რაღაცა უარესი აქვს ხელისუფლებას მის წინააღმდეგ და ამის შედეგია ეს ყველაფერი.

*— ითქვა, რომ კომპრომატები არსებობს ლუის ნავაროზე და ძველი ხელისუფლება ამით მანიპულირებსო...*



— თითქოსდა ეს ხმები მართლდება იმ კვლევების შედეგებით, რასაც ის აკეთებს, მაგრამ მთავარი იცით რა არის? არავის არ დაუსვამს კითხვა საზოგადოებისთვის, ენდობა თუ არა საზოგადოება ენდიაის და აირაის კვლევებს? ჩვენ გუშინ დავიწყეთ ინტერნეტით ამისი გამოკითხვა. დავუსვით საზოგადოებას კითხვა – ენდობით თუ არა ენდიაის და აირაის კვლევებს და თუკი გამოიკვეთება, რომ საზოგადოება მის კვლევებს არ ენდობა, მაშინ, ბუნებრივია, მათი კვლევის შედეგები თუნდაც ამიტომ არ არის სანდო. მეორე მხრივ, საზოგადოებამ ისედაც კარგად იცის, როდესაც ამ ციფრებს უყურებს, მას რეალობასთან არა აქვს არანაირი კავშირი. რას ნიშნავს ის, რომ ბაქრაძე არის ყველაზე პოპულარული. როგორ შეიძლება იმ გუნდის წარმომადგენელი, რომელმაც ის კადრები დადო, რაც მთელმა საქართველომ ნახა, გამოდის, რომ თავმოყვარეობა არ ჰქონია ერს! ამას ამბობს ამ კვლევებით ენდიაი. ესე იგი ამ ერს თავმოყვარეობა არ ჰქონია. რომელიმე ქვეყანაში შეიძლება მსგავსი რამ მოხდეს?! და იმ ქვეყანაში აი ასეთი ხელისუფლების წარმომადგენელს მხარდაჭერა ჰქონდეს და ყველაზე პოპულარული იყოს?! ესე იგი ამითი რას მიუთითებს ნავარო? რომ ჩვენი საზოგადოება ავად არის?! აბა, როგორ შეიძლება ეს კვლევები ჩაითვალოს ნორმალურად, როდესაც იმ გუნდის წარმომადგენელი, იმ გუნდის სახე, რომელმაც ის გაუპატიურებები აკეთა ციხეებში, რომელმაც ის კადრები შექმნა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს, იცის საზოგადოებამ, რომ ეს სწორედ იმ გუნდის წარმომადგენელია, რომელსაც ამასთან დაკავშირებით პასუხი არ უგია და არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ეს ადამიანი და თურმე ის არის ყველაზე პოპულარული დღეს საქართველოში. ეს, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია! შეურაცხმყოფელია ასეთი საქციელის ჩადენა ქართველი საზოგადოების მიმართ.

*— არაფრად აგდებენ ხალხის ინტერესს?*

— რასაკვირველია. აბა, როგორ შეიძლება ასეთი ცინიზმი?! როდესაც კანონი არ მუშაობს, მაშინ მორალმა უნდა იმუშაოს. მაგათ საერთოდ ქუჩაში არ უნდა გაესვლებოდეთ. ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ საზოგადოება მათ ამ ყველაფრის გამო პასუხს მოსთხოვს. რა საქციელია ეს?! რას ნიშნავს ეს?! რომ გაუპატიურება, წამება, ღირსების შემლახავი მოპყრობა ყველაზე პოპულარულია საქართველოში? გამოსაძიებელია, ვინ არის საერთოდ ნავარო და რატომ აკეთებს ამას! ერთი მხრივ, ვითომ პროდასავლურიო და რას აყენებს ამით დარტყმას? ისევ დასავლეთს და პროდასავლურ ინტერესებს საზოგადოებაში. გარდა იმისა, რომ ჩვენც შეურაცხყოფას გვაყენებს, თურმე ყველაზე პოპულარული ყოფილა ადამიანი, რომლის თანაგუნდელები წამებებში, გაუპატიურებებში მონაწილეობდნენ და მის სახეს წარმოადგენს.

*— საუბარია იმაზეც, რომ კოჰაბიტაციით ტკბობის ეშხში შევიდა ახალი ხელისუფლება და ეს ყველაფერი ამის შედეგიაო...*

— სამწუხაროდ, სწორედ მაგის შედეგია. სწორედ მაგის შედეგია, რომ დღეს საერთოდ მიდის საუბარი იმაზე, რომ პრაიმერს ატარებს ნაციონალური მოძრაობა პრეზიდენტის კანდიდატზე და ამაზე საზოგადოებას არა აქვს საკადრისი რეაგირება. აი, ეს ყველაფერი კი არის ახალი ხელისუფლების ბრალი. ახალი ხელისუფლების, რომელმაც დღემდე ვერ დაუსვა დიაგნოზი და ვერ თქვა, რა იყო ნაციონალური მოძრაობა. არ მისცა ამ ყველაფერს შეფასება. საზოგადოება არის აბსოლუტურ გაურკვევლობაში, ერთი მხრივ ნდობა აქვს ახალი ხელისუფლების და მეორე მხრივ, ამას ხედავს. დღეს საზოგადოება დაბნეულია, მაგრამ როდემდე იქნება ეს დაბნეულობა?! ხალხს ერთ დღესაც კისერში ამოუვა და გამოვა ქუჩაში და დაიცავს თავის ღირსებას. სხვას თუ ვერაფერს, ღირსებას მაინც დაიცავს.

*— სამართლიანობის აღდგენაზეც შეწყდა საუბარი... წინასაარჩევნო პერიოდია და უნდა შეჩერდეს დაკავებებიო, ნეტავ ვინც დაიჭირეს, იმასაც გარეთ ხომ არ გამოუშვებენ?*

— ამათგან არაფერია გამორიცხული. შეჩერდესო რას ნიშნავს, რომ დამნაშავეები არ უნდა დააპატიმრონ?! თუ ეს პოლიტიკური დაკავებებია და მას აღიარებენ, ეს სხვა არის და თუ დამნაშავეს აკავებენ, მაშინ როგორ შეიძლება შეჩერდეს დაკავება და დანაშაულისთვის არ იქნეს პირი დაკავებული?! მე ეს ლოგიკა არ მესმის და საერთოდ ძალიან ბევრი კითხვა გამიჩნდა დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე სწორედ ახალი ხელისუფლებისადმი.

*— რა თამაშს თამაშობენ, რა არის ეს?*

— უსუსურს, გაუგებარს და მონურს, რაც მთავარია. მეტი არაფერი, სხვა არაფრის დემონსტრირება არ ხდება. ვერც ერთი მიმართულებით ვერ დალაგდა ურთიერთობები, ვერც დასავლეთით, ვერც ჩრდილოეთით, ვერსად ვერ დალაგდა ეს ურთიერთობები და ვერსად ვერ მოხერხდა ის, რომ სიმართლე იქნეს აღიარებული. ერთი სიმართლე მაინც დაანახონ მსოფლიოს. ნაციონალური მოძრაობა მარტო ცხრაწლიან პერიოდში კი არა, ჯერ კიდევ მოქალაქეთა კავშირის დროიდან, შევარდნაძის ბიჭები როცა იყვნენ, ჯერ კიდევ მაშინ ალაგებდნენ ამ ურთიერთობებს დასავლეთთან და მათ ძალიან შორეული წარსული აქვთ, მაგრამ ისინი ტყუილებს ალაგებდნენ და სიმართლე როგორ ვერ დალაგდა ამდენი ხანი?!

*— არ არის სურვილი და მონდომება თუ სხვა რამეშია საქმე?*

— არ ვიცი, რა ხდება, ხომ გითხარით, იმდენი კითხვის ნიშანი გაჩნდა, რომ საერთოდ რა ხდება, ვერ გავიგე. რა ხდება პარლამენტში? რა ხდება მთავრობაში? რა ხდება საერთოდ ხელისუფლებაში? რა პოლიტიკას ატარებენ? რაზეა გათვლილი ეს, რომ ხალხმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნიოს თუ რა ხდება?! აბა, ჩადით რაიონებში რა ხდება, ყველგან ნაციონალური მოძრაობა მართავს სიტუაციებს. უკვე დასცინიან „ქართული ოცნების“ მომხრეებს და იმ ადამიანებს, ვინც მიტინგებსა და მანიფესტაციებზე იდგნენ. ეს ხალხი გვეუბნება, რომ დღეს გაცილებით მძიმე სიტუაციაში ვართ, იმიტომ, რომ თავმოყვარეობა გველახებაო. გვეუბნებიან, აი, ხომ იბრძოდით, მაგრამ ისევ ჩვენა ვართ და თქვენ ისევ ქუჩაში დარჩითო.

*— მასობრივად ვრცელდება უკვე ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ თუკი ვინმე სადმე საქმდება, საქმდებიან მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალების ზონდერებიო...*

— კი, ასეა. ერთი ადგილიდან ხსნიან, მეორეზე გადაჰყავთ, ან აწინაურებენ, ან მსგავს თანამდებობაზე გადაჰყავთ. გადააცვეს ნაციონალური მოძრაობის მგლებს ცხვრის ქურქი და ჰყავთ ისევ თავისთან. ამისთვის იბრძოდა ხალხი?!

*— ეტყობა, ეს არის ხელისუფლების პოლიტიკა, თორემ სურვილი რომ არ ჰქონდეთ, ასე ხომ არ მოიქცეოდნენ?*

— ბუნებრივია. ეს ხელისუფლების პოლიტიკის გარეშე როგორ განხორციელდება. აბა, ეს ხალხი გამგებლებად თავისით ხომ ვერ დაინიშნებიან?!

*— დასავლეთის საამებლად, შიშის გამო თუ რით აიხსნება ასეთი კოჭის გორება ნაციონალებისადმი?*

— ჩნდება სერიოზული ეჭვები, რომ ეს კომპრომატები მათზეც ხომ არაა? არ ვიცი, რა ხდება. აუცილებელია ამის გამოქვეყნება, სხვანაირად არ დამთავრდება ამ კომპრომატებით მანიპულირება. პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნება ეს ძალიან პრობლემატურია, მაგრამ თუ ეს ხელისუფლების წარმომადგენლებს ეხება, ხომ უნდა გავიგოთ ერთხელ და სამუდამოდ, რა დღეში ვართ, არა?! რომ მეორედ ეს ველარავინ გამოიყენოს. აბა, მუდმივად დაშანტაჟებული ხელისუფლება როგორ შეიძლება ჰყავდეს ქვეყანას?! მიდის მუქარა, რომ მე შენ ამას გამოგიქვეყნებ და ამ დათმობებზეც შეიძლება სწორედ ამიტომ მიდის. პოლიტიკაში რომ ხარ და თუ შენზე მართლა რაიმე არსებობს ან უნდა გქონდეს ის პოზიცია, რომ არ მაინტერესებს რას გამომიქვეყნებენ და ვაგრძელებ პოლიტიკურ მოღვაწეობას, ან უნდა წახვიდე პოლიტიკიდან. აბა, როგორ შეიძლება მუდმივად დაშანტაჟებული ადამიანი მართავდეს ქვეყანას?!

*— ალბათ ეშინიათ რაღაცის, აბა, სხვაგვარად რით აიხსნება ამდენი დათმობა რეჟიმის მიმართ?*

— იცით რა, შიშის შედეგადაც კი აუხსნელია ასეთი პოლიტიკა. როგორი შეშინებულიც არ უნდა იყოს, მათი ეს პოლიტიკა არის მაინც აუხსნელი. კი, ალბათ, ამისი დიდი წილი არის შიში, მაგრამ მაინც გაუგებარია ასეთი პოლიტიკა. ამდენი მტრის გაჩენა, ამდენი მომხრის განაწყენება, ეს ხომ ხელისუფლების დათმობის ტოლფასია?! და რატომ აკეთებს ამას დღევანდელი ხელისუფლება.

*— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, თანდათან იზრდება არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი, თუმცა საუბარია, რომ რეალური შანსები მარგველაშვილს და ბურჯანაძეს აქვთო. რესპუბლიკელებისთვის კი ბურჯანაძე მიუღებელია...*

— რა თქმა უნდა, ეგენი ბურჯანაძეს ებრძვიან და არა სააკაშვილს. თუნდაც ბედუკაძეზე ატეხილი ამბავი რომ ავიღოთ, ე.ი. ატეხეს ამბავი ადამიანზე, რომელმაც საბოლოოდ დაამარცხა წამებები ციხეებში და არ ტეხავენ ერთ ამბავს იმ ადამიანებზე, ვინც ეს სისტემა შექმნა. ამაში სადმე არის ლოგიკა?! ნორმალურ, ჯანმრთელ საზოგადოებაში ასეთი რაღაცები შეიძლება ხდებოდეს?! იმან, რომელმაც ამხილა ეს რეჟიმი, გამოიტანა ეს მასალები, გაასაჯაროვა და ამითი წერტილი დაუსვა ამ სისტემურ დანაშაულს და ამაზე ატეხილია ერთი ამბავი და პრესაში თუ ტელევიზიაში ამას უწყობენ სასამართლოებს და ვინც ეს სისტემა შექმნა, ის ხალხი ჰყავთ პრაიმერებში. ეს არანაირი შიშით, არანაირი დაშანტაჟებით არ შეიძლება იყოს ახსნილი, ეს რა ხდება, ვერ გავიგე?!

*— თუკი ასე გაგრძელდა, მაშინ არც ის არის გამორიცხული, რომ ბაქრაძე მართლაც ვიხილოთ მეორე ადგილზე თუ პირველზეც არა...*

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დღემდე აკონტროლებს ნაციონალური მოძრაობა. კაციშვილი არ დაინტერესებულა ცენტრალური საარჩევნო კომისის საქმიანობით, მისი ბიუჯეტით, მისი ხარჯვით, აბსოლუტურად არაფრით. არავინ ამით არ ინტერესდება, არავინ არ ამოწმებს, რა იყო, რას აკეთებდნენ? ყველა ლაპარაკობდა გაყალბებზე და არავინ არ დაინტერესებულა, შიგნით რა ხდება.

*— და არც საარჩევნო კანონმდებლობა შეცვლილა...*

— დიახ, არც სიები და არაფერი არ შეცვლილა. იგივე გაყალბებული სიებით ტარდება არჩევნები. რას ნიშნავს ეს?! საზოგადოებაში სერიოზული იმედგაცრუებაა, სერიოზული პროტესტია ხალხში და ხელისუფლება სანამ არ დაინახავს თუ რა პროტესტია ხალხში, მანამდე გონს ვერ მოვა. სანამ თავისი თვალით არ დაინახავს რა ხდება, მაგრამ გონს რომ მოვა, მერე უკვე გვიან იქნება. აი, ახლაა პერიოდი, ახლაა იმის საშუალება, რომ რაღაცა გადარჩეს, თორემ საზოგადოება რომ ამოხეთქავს ამ ტკივილს, მერე უკვე ველარც ახალი ხელისუფლება გადაურჩება საზოგადოების რისხვას. შიში, საზოგადოების ნიჰილიზმი, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ხალხმა ეს უკვე გადალახა და აღარავინ დაუშვებს იგივეს.

## გენადი ონიშჩენკო საქართველოს ახალ მთავრობას სუსტს უწოდებს

„როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელი, რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო დარწმუნებულია, რომ ღორის აფრიკული ჭირი, რომელმაც რუსეთის რეგიონებში პირუტყვის დახოცვა გამოიწვია, რუსეთში საქართველოდან შევიდა.

„ეს ობიექტურად დადგენილი ფაქტია“ – განაცხადა მან „ინტერფაქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ონიშჩენკოს განცხადებით, რუსეთმა ქართული ალკოჰოლური სასმელებისთვის ბაზარი გახსნა, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე მუშაობას აგრძელებს აშშ-ს მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს.

„ჩვენ იძულებულები ვართ მოკავშირეების, – სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დასახმარებლად ფული ვხარჯოთ, რათა ბიოლოგიური უსაფრთხოების საკითხში რეალური საფრთხის დასაძლევად, მათი ჯანდაცვის სისტემა გავაძლიეროთ“ – აღნიშნა ონიშჩენკომ.

მისი თქმით, გასულ წელს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისთვის და აფხაზეთისთვის აღჭურვილობების საყიდლად 15 მილიონი რუბლი გამოყო. მიმდინარე წელსაც ამ ორი რეგიონისთვის იგივე რაოდენობის თანხის მოწყობილობების ყიდვა იგეგმება.

ონიშჩენკომ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ლაბორატორიის ასაშენებლად 350 მილიონი დოლარი იყო დახარჯული.

„გვაშფოთებს, რომ ლაბორატორია საქართველოს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არ იმყოფება. ლაბორატორია თბილისთან ახლოს, ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზის ტერიტორიაზეა აშენებული. ასეთი ლაბორატორიის არსებობა საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებს“ – განაცხადა როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელმა.

ნიუსპრესი

## მიხეილ სააკაშვილი: „ჩემი აშენებული „სამართლიანობის აღდგენის“ მსხვერპლია“



„კოლეჯი, რომლის აშენების დროსაც რკინები თავად ვათრიე და მართლა ალალად ვიმუშავე, დღეს სამართლიანობის აღდგენის მსხვერპლია“ – ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა გლდანში, პროფესიული გადამზადების ცენტრში სტუმრობისას განაცხადა.

„ეს კოლეჯი, რომელიც ავაშენეთ, რომელშიც მე თავად მივიღე მონაწილეობა და რკინები ვათრიე, დღეს „სამართლიანობის აღდგენის“ პროცესის მსხვერპლია. „სამართლიანობის აღდგენა“ რა შუაშია იმ პედაგოგებთან და ახალგაზრდებთან, რომლებსაც აქ მთელი საქართველოდან უნდა ესწავლათ. რამდენადაც ვიცი, საქმე იმაზეც ალიძრა, რომ შენობა დაუმთავრებელიაო. აქ ამ ერთი წლის განმავლობაში ათასობით სტუდენტს უნდა ესწავლა. შენობის პარალიზება მოხდა იმ მოტივით, რომ ვიღაცას საჩივარი შეატანინეს, თითქოს ნორმები დარღვეულია და მიწის გადაფორმება არასწორად მოხდა. ფაქტია, რომ კოლეჯის მშენებლობა გაჩერდა და დღეს პრაქტიკულად ამ სისტემაში სერიოზული პრობლემებია. იმ ფაქტს რომ უმუშევრობამ 50 000 კაცით მოიმატა და კვლავ იზრდება, თავისი კონკრეტული მიზეზები აქვს. ეს კოლეჯიც ერთ ერთი მიზეზია“ – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით კოლეჯი მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს და მისი დახურვის გამო პირადი წყენაც გააჩნია.

„როგორც გაიხსნა, ისევე დაიხურა. მე თითონ ვათრიე რკინები, მართლა ალალად ვიმუშავე, წელში გავწყდით და არ მესმის როგორ შეიძლება ესეთი რაღაცა გააჩერო“ – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გელა მებონია: „სანდრო გირგვლიანის მკვლელობა დათა ახალაიას დაგეგმილია“

## ყოფილი პოლიციელი გირგვლიანისა და ვაზაგაშვილის მკვლელობაზე სკანდალურ განცხადებას ავრცელებს

შორენა გონგლაძე

სანდრო გირგვლიანის მკვლელობა დათა ახალაიას დაგეგმილია, ხოლო ოლეგ მელნიკოვი მომხდარის დროს იქ იყო, – ეს განცხადება მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა გელა მებონიამ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მებონიამ ამასთან დაკავშირებით ოფიციალური ჩვენების მიცემის პირობაც დადო. მებონია დათა ახალაიას მონაწილეობას აღნიშნულ საქმეში იმით ხსნის, რომ დათა ახალაიას ბრძანების გარეშე კუდ-ის თანამშრომლები ვერც ერთ ბრძანებას ვერ შეასრულებდნენ.

– ამ ამბის მოხდენის შემდეგ მივედი შემთხვევის ადგილზე. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ჩვენ 6 ადამიანის ნაკვალევი აღმოვაჩინეთ. ერთ-ერთი ნაკვალევი იმ ფეხსაცმლის იყო, რომელიც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელს ოლეგ მელნიკოვს ეცვა. მეექვსე ადამიანი ვინ იყო, ჩემთვის უცნობია, დანარჩენი ოთხი კი ისინი იყვნენ, ვინც დააკავეს. დაკავებულები კუდის თანამშრომლები იყვნენ და ისინი დათა ახალაიას ბრძანების გარეშე არაფერს მოიმოქმედებდნენ. ეს ყველაფერი ასახულია იმ ოქმში, რომელიც იმ პერიოდში შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას დაიწერა, მოგვიანებით კი ეს ოქმი საქმიდან გაქრა. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ დათა ახალაიამ გასცა იმის ბრძანება, რაც იქ მოხდა. მომხდარის შესახებ კი ინფორმაციას თავიდანვე ფლობდა ვანო მერაბიშვილი, მას ამის შესახებ ინფორმაციას უშუალოდ გურამ დონაძე აწვდიდა, – აცხადებს მებონია. მისივე თქმით, მან უშუალოდ ნახა ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანდრო გირგვლიანის ცხედარი.

– ის ნაწამები და შიშველი იყო. უბრალოდ, ენით ვერ აღვწერ თუ რა მდგომარეობაში იყო ცხედარი, – განაცხადა მებონიამ. მისივე თქმით, ის ჩვენებას ასევე მისცემს ირაკლი ფირცხალავას წინააღმდეგ ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით.

გელა მებონია ასევე მონაწილეობდა 2006 წელს კორტებთან მომხდარ სპეცოპერაციაში. მისი თქმით, ვაზაგაშვილისა და მისი თანმხლებების ავტომობილში იარაღის ჩადებას პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი ფირცხალავა ცდილობდა. როგორც მებონიამ განაცხადა, იმ ავტომობილში, სადაც ვაზაგაშვილი იჯდა, იარაღი ნამდვილად იყო, თუმცა, გასროლა არ მომხდარა და ახალგაზრდების ავტომობილს ასზე მეტი ტყვია სპეცრაზმელებმა ქუჩის მეორე მხრიდან ესროლეს.

ყოფილი პოლიციელი მზადაა, ვაზაგაშვილის საქმეზე დეტალები გამოძიებას მოუყვეს. მისი განცხადებით, სროლების შემდეგ, თავად შეამოწმა ბე-ემ-ვე-ს მარკის ავტომობილი, სადაც ვაზაგაშვილი და კიდევ ორი პირი ისხდნენ, შეამოწმა იარაღიც, რომლიდანაც გასროლა არ განხორციელებულა.

– მათ ავტომობილში იარაღი იყო, თუმცა, თავდაპირველად პოლიციელებმა ვერ შენიშნეს. ერთს – მძღოლს იარაღი ზურგის მხარეს ედო, მეორეს, ქვემოთ, ავტომობილის სავარძლის ქვეშ, ხოლო მესამეს, რომელიც უკანა სავარძელზე იჯდა, იარაღი უკან ედო, ამიტომ ვერ ნახეს პოლიციელებმა იარაღი. ამიტომ გადარეკა ფირცხალავამ და მოითხოვა, იარაღი მოიტანეთ, შარში ვართო. მოიყვანეს იარაღიანი მანქანა, მაგრამ მე ამბავი ავტეხე, ამასობაში კრიმინალისტებიც მოვიდნენ და დაიწყეს დათვალიერება, – აღნიშნა გელა მებონიამ. მისივე განცხადებით, სპეცოპერაციაში სხვა მაღალჩინოსნებიც მონაწილეობდნენ, რომელთა ვინაობას საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ გამოძიებას გააცნობს.



მებონიას განცხადებით, ვაზაგაშვილის მკვლელობის ადგილზე იარაღის ჩადება უშუალოდ ირაკლი ფირცხალავას მხრიდან მოხდა. იქ მყოფ პირებს კი გასროლა არ მოუხდენიათ.

– გასროლა მოხდა გარედან, რომელსაც ემსხვერპლა მძღოლი და მძღოლის გარდაცვალებას მოჰყვა დანარჩენების სიკვდილი, – აცხადებს მებონია და მისი ოჯახის მისამართით განხორციელებულ მუქარაზე საუბრობს.

– კრიმინალური პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გელა მებონია აცხადებს, რომ გირგვლიანის მეგობარმა ლევან ბუხაიძემ ყველა დეტალი იცოდა.

როგორც მებონიამ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში განაცხადა, მთავარი დამნაშავეები სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ოლეგ მელნიკოვი და დათა ახალაია არიან.

პრესკონფერენციაზე მებონიამ მთავარ პროკურორს და შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნით მიმართა:

– მივმართავ ბატონ არჩილ კბილაშვილს და ასევე მინდა თხოვნით მივმართო ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს. ბატონო ირაკლი, მე ვიცი, რომ სამართლიანი და უწესიერესი კაცი ბრძანდებით, და მჯერა თქვენი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შეძლებთ ისეთი პოლიციის ჩამოყალიბებას, რასაც იმსახურებს ქართველი ხალხი. 2006 წელს ბატონმა მერაბიშვილმა პირდაპირ მოუწოდა პოლიციელებს, რომ გამოეყენებინათ იარაღი. მოგეხსენებათ, რომ სისხლის სამართალში და პოლიციის შესახებ კანონში წერია, რა შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს პოლიციელმა იარაღი, სხვა დანარჩენი შემთხვევები არის კანონდარღვევა და არის დასჯადი. მე აქედან მივდივარ პირდაპირ და ვაძლევ ჩვენებას ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით. ობიექტივის მეშვეობით გავრცელდა ახალი ჩვენებები ვაზაგაშვილთან დაკავშირებით, ეს მასალები ძალიან იოლად შეიძლება დავადგინოთ თუ ვინ მიაწოდა ობიექტივს. ჩემი ვარაუდით, ეს მასალები მიაწოდა ბატონმა ირაკლი ფირცხალავამ, იმიტომ, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური სამსახური, რომელიც ვითომდა ათვალიერებდა შემთხვევის ადგილს. 2006 წლის 2 მაისს მოხდა ეს მკვლელობა და ბატონ ირაკლი ფირცხალავას, რომელმაც დაგეგმა ეს სპეცოპერაცია, ვეძახი მკვლელს და ვადანაშაულებ, – აცხადებს მებონია.

გუშინვე გავრცელდა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელშიც ასევე გელა მებონია ფიგურირებს. საქმე ეხება ბაჩო ახალაიას საქმეში ერთ-ერთ მთავარ მოწმე, ზვიად აბესაძეს, რომელიც, შესაძლოა, დააპატიმრონ. მის წინააღმდეგ საქმე ძველი თბილისის შს სამმართველომ გელა მებონიას საჩივრის საფუძველზე აღძრა. აღნიშნულ ინფორმაციას „პრაიმ-ტაიმი“ ავრცელებს. მებონია ზვიად აბესაძესა და მის ძმას, მუქარასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. მებონია შინაგან საქმეთა მინისტრს საქმის პირად კონტროლზე აყვანას სთხოვს. გელა მებონია 2007 წლამდე კრიმინალურ პოლიციაში მუშაობდა და პირადად მონაწილეობდა აბესაძეების კუთვნილი ღამის კლუბის დახურვაში, რომელიც, მისი თქმით, რეალურად პროსტიტუციის კერას წარმოადგენს.

– აბესაძეები ქალაქის ცენტრში ფლობენ დანაშაულებრივ დაწესებულებებს, სადაც ყვავის პროსტიტუცია, ტრიალებს ნარკოტიკები და იარაღი. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ზაზა აბესაძე შენობაში გინებით შევარდა და ფიზიკურად გამისწორდა. ძირს დაგდებულს მირტყა ფეხები და გაიძახოდა, – შე ძაღლო, შენი დრო უკვე წავიდა, ეს კლუბი არის ჩემი ძმის და შენ აქ რას აკეთებო. ადგილზე საპატრულო პოლიციის გამოძახებაც მოხდა – 5 წუთში კლუბთან გამოჩნდა ზვიად აბესაძის კუთვნილი ჯიპი, საიდანაც გადმოვიდნენ თავად და სამი შეიარაღებული პირი. საერთოდ არაფრად ჩათვალა პატრულის თანამშრომლები. ტრაბახობდა, ბიჭო, შენ არ იცი, რომ არჩილ კბილაშვილი ჩემი მეგობარია, ვერ ხედავ, მისი დაცვა დამყვება, დედას გიტირებო. მომხდარის გამო, მე მინდა მივმართო შინაგან საქმეთა მინისტრს, პირად კონტროლზე აიყვანოს მან ეს საქმე, – აცხადებს მებონია.

– პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი ფირცხალავა გელა მებონიას ბრალდებებს პასუხობს და სიცრუეში ადანაშაულებს. როგორც ფირცხალავამ ჟურნალისტებს განუცხადა, ბრალდება, რომელიც გელა მებონიამ მის წინააღმდეგ წამოაყენა, სიმართლეს არ შეესაბამება.

– ამ პიროვნების ნაამბობი შეიცავს ძალიან ბევრ სიცრუეს. მან არ იცის ელემენტარული თუ სად მუშაობდა, რადგან ის ამბობდა, რომ მთაწმინდის სამმართველოში მუშაობდა, თუმცა რეალურად ეს ძველი თბილისის სამმართველო იყო. მან განაცხადა, რომ ვაზაგაშვილის საქმეზე, შემთხვევის ადგილზე შუადღეს მივიდა, თუმცა შემთხვევა დილით მოხდა. მანვე თქვა, რომ კორტებთან მშენებლობა მიმდინარეობდა, რაც სიცრუეა, რადგან კორტებთან მშენებლობა იმ პერიოდში არ მიმდინარეობდა და მშენებლობა მერე დაიწყო. მებონიამ ასევე თქვა, რომ ის ოთხ ოპერთან ერთად შეძლებდა ამ ჯგუფის აყვანას. მებონიამ განაცხადა, რომ მას, ერთ-ერთ ბარში ერთ-ერთმა სუტინიორმა გამეტებით სცემა და საინტერესოა, იმ დროს, როდესაც ყოფილ პოლიციელს სუტინიორი სცემს, როგორ უნდა შეძლოს დანაშაულებრივი ჯგუფის აყვანა. მე ვფიქრობ, სიცრუეა ისიც, რაც მან თქვა, რომ ვაზაგაშვილის მანქანიდან გასროლა არ ყოფილა. კიდევ ერთი სიცრუეა ის, რომ უკანა სავარძელზე ნახა იარაღი, ეს ასე არ იყო, რადგან იარაღი ფუტკურიძეს ეჭირა ხელში, – განაცხადა ირაკლი ფირცხალავამ. მისივე თქმით, ასევე დასადგენია, საერთოდ იყო თუ არა მებონია პოლიციელი. „ყველამ იცის, რომ მე პოლიციაში აბსოლუტურ უმრავლესობას ვიცნობდი, შესაბამისად, მე ამ პირზე საერთოდ არც გამიგია. აქედან გამომდინარე, დასადგენია, რეალურად იყო თუ არა ეს ადამიანი პოლიციელი, რატომ აყენებს ცრუ ბრალდებებს ჩემს წინააღმდეგ, ესეც გაუგებარია. ეს შეიძლება იყოს რაიმე მატერიალური მიზეზებიდან გამომდინარე ან ვილაცის სათამაშოა, – განაცხადა ირაკლი ფირცხალავამ. იგი კატეგორიულად გამორიცხავს, რომ გელა მებონია შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. „მებონია შემთხვევის ადგილზე ვერანაირად ვერ შევიდოდა, რადგან იქ შინაგან საქმეთა მინისტრსაც არ ჰქონდა შესვლის უფლება, – განაცხადა ფირცხალავამ.

# კოაბიტაციური საბოტაჟის ვარიაციები

პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილის მიერ თვეების განმავლობაში პერმანენტულად გაკეთებული განცხადებების სიცხადე იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოაბიტაცია შეუძლებელი და დაუშვებელია, საზოგადოებას მთელი სიმძაფრით თვალწინ დღეს დაუდგა.

ზოგადად კი, დღევანდელი პოლიტიკური ვითარება საქართველოში, ბავშვობისდროინდელ მულტიპლიკაციურ ფილმს მაგონებს, სადაც კეთილი კატა ორ პატარა მავნებელს მეგობრულად ცხოვრებისკენ მოუწოდებდა და ეს მავნებლებიც, თუ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ კატის მიერ გულით შეთავაზებულ „კოაბიტაციას“ იძულებით ეთანხმებოდნენ, თუმცა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, დაპირებას ივიწყებდნენ და ცდილობდნენ, რომ კატისთვის ზიანი მიეყენებინათ.

სწორედ ამ პატარა მავნებლებს წააგავს დღეს მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური ძალის ნაშთი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ეს უკანასკნელნი გაცილებით მეტი საფრთხის მატარებლები არიან, ვიდრე ზემოთნახსენები მულტფილმის პერსონაჟები.

როგორც ბოლო მოვლენებმა ცხადყო და ეს მოსალოდნელიც იყო, წინა ხელისუფლების კუდები, აღმასრულებელ ხელისუფლებაში და განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში, ჯერ კიდევ მრავლად არიან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში თავის კარიერას სასწორზეც შეაგდებენ და ნებისმიერ დავალებას, მათ შორის საბოტაჟის შესახებ დავალებასაც უყოყმანოდ შეასრულებენ.

ამის მცდელობის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება, რასმუსენის ვიზიტის დროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, სამართლიანობის აღდგენის ნილაბქვეშ ჩატარებული მასობრივი ოპერაცია იყო, როდესაც ბორკილებდადებული მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები ქალაქში იძულების წესით ასეირნეს.

როგორც აღვნიშნეთ, ეს საბოტაჟის ნიშნების მატარებელი ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევა იყო, თუმცა საქმის გაფუჭების, არსებული ხელისუფლების დისკრედიტაციისა და მსგავს პატარ-პატარა მცდელობებს, ადგილი დღესაც მრავლად აქვს და მიუხედავად მათი მასშტაბების სიმცირისა, ისინი თავიანთ ლოკალურ მიზნებს მაინც აღწევენ.

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მეტი საფრთხე ამ მხრივ ძალოვან და საგამოძიებო სტრუქტურებშია, მათგან პირველ რიგში კი, შინაგან საქმეთა სამინისტროა აღსანიშნავი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში აღნიშნული სამინისტრო ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ უწყებად ჩამოყალიბდა, რაც დანაშაულის კლებისა და გახსნის მაჩვენებლის გაზრდაშიც გამოიხატება, მაინც დიდია საფრთხე იმისა, რომ გარკვეულმა პირებმა, იქ ისეთი ქმედება ჩაიდინონ ან ისეთი ქმედების ჩადენა დაუშვან, რომელიც სამინისტროს სახელს და რეპუტაციას ჩრდილს მიაყენებს.

ამავე რუბრიკაში ადრეც ვწერდით, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც პრემიერ-მინისტრის სანდო და ერთგული კადრი, აუცილებლად დადგება განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ, როგორც წინა ხელისუფლების, ასევე ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან. მნიშვნელობა არ აქვს ამას ღია სახე ექნება თუ დახურული.

ფაქტი ერთია, რომ აღნიშნული უწყება, როგორც სავარაუდო იყო, უკვე დგას საზოგადოების გარკვეული, ლუსტრირებული თუ ნახევრადლუსტრირებული ნაწილის და ორგანიზაციების დარტყმის ქვეშ.

კიდევ ერთი უწყება, რომელსაც ანალოგიური საფრთხე ემუქრება, ეს მთავარი პროკურატურაა, მაგრამ თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში, საფრთხის მიუხედავად, საქმე კრიმინალთან ბრძოლის წარმატებულ პრაქტიკასთან გვაქვს, მთავარი პროკურატურის მისამართით ამავეს ვერ ვიტყოდით, ვინაიდან რბილად რომ ვთქვათ, პროკურატურის მუშაობა დღეს სათანადოდ ეფექტური ვერ არის.

სხვათა შორის ეს არც პრემიერ-მინისტრს დაუმალავს და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე პირდაპირ განაცხადა, რომ პროკურატურა სუსტია.

მიუხედავად ამისა, მთავარ პროკურორს ერთი დადებითი და აუცილებელი თვისება და მუშაობის სტილი გააჩნია: – სათანადო მტკიცებულებების და ხშირ შემთხვევაში საჭიროზე ბევრად მეტი მტკიცებულებების შეგროვებამდე, არცერთ საქმეს მსვლელობას არ აძლევს და გამოძიების შედეგებსაც მხოლოდ მაშინ ასაჯაროვებს, როდესაც ყველა იურიდიული ნიუანსი გათვალისწინებულ-ამოწურულია.

მიუხედავად ამ თვისებისა, დღეს არსებული სურათის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ არჩილ კბილაშვილმა იმ გამოწვევას გაუძლოს, რასაც კარგად მოფიქრებულ-დაგეგმილი და ასევე კარგად შესრულებული საბოტაჟი ჰქვია.

ნუ დაგვავიწყდება, რომ მიხეილ სააკაშვილის დროს, პროკურორები პრაქტიკულად განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ, მათი დირექტივებით იღებდნენ გადაწყვეტილებებს მოსამართლეები, პროკურორები წყვეტდნენ საპროცესო შეთანხმებისა და გირაოს საკითხებს და ასე შემდეგ.

დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორები პოლიტიკური ჩარევისგან მაქსიმალურად თავისუფლები არიან, რა თქმა უნდა იარსებებს დიდი ალბათობა, რომ ძველმა კადრებმა წარსული დიდების და ძალაუფლების დაბრუნება ინატრონ და არა მარტო ინატრონ, მის დასაბრუნებლად რეალური ნაბიჯებიც გადადგან.

არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს ადამიანის უფლებათა შეგნებული დარღვევა, რაი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ახალი ფორმა ექნებათ

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ახალი ფორმა ექნება, რომლის პრეზენტაციასაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია პირადად დაესწრო.



„როდესაც ავღანეთში თუ საქართველოში მიმდინარე წვრთნებისას მეომრებისგან ვისმენდი ფორმის შესახებ შენიშვნებს, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ეს სიტუაცია აუცილებლად შესაცვლელი იყო. ამიტომაც, დღეიდან უკვე, ჩვენს ჯარისკაცებს ახალი ფორმა ეცმევათ. ეს ფორმები უკვე შეკვეთილი გვაქვს და რაც მთავარია, თავად ქსოვილის ხარისხი არის ძალიან მაღალი, ორმაგად უფრო ძვირფასი, ვიდრე აქამდე იყო და ჩემი აზრით, სწორედ ასეთი ფორმა უნდა ჰქონდეს გმირ ქართულ ჯარს, რომელიც ავღანეთში თავის მისიას გმირულად ასრულებს და მზად არის საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვას ჩვენი ქვეყანა. მათ უნდა ჰქონდეთ ღირსეული სამუშაო პირობები, რაც პირველ რიგში ჩაცმულობას, ფორმას და ეკიპირებას ეხება.

მინისტრის თქმით ახალი ფორმები უახლოეს მომავალში საველე პირობებში გამოიცდება. ამის შემდეგ კი, ფორმის ხარისხთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნები გაკეთდება.

ირაკლი ალასანიას თქმით, ასევე პრობლემურია შეიარაღებული ძალების სამხედრო ფეხსაცმელიც.

„უახლოეს მომავალში სამხედრო ფეხსაცმლის ახალ მოდელს შემოგვთავაზებენ, რომელიც ქართველი სამხედროების წვრთნების პირობებში გამოიცდება და თუ ის მაღალი ხარისხის სტანდარტების შესაბამისი იქნება, ჩვენ ბუნებრივია ამ საკითხზეც ვითანამშრომლებთ“ -აღნიშნა მინისტრმა.

**მედიანიუსი**

# მარგველაშვილმა შემცვლელი წარადგინა

## თამარ სანიკიძე: „სასწავლო გეგმა გადაიხედება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტს სიამაყის განცდით ტოვებს. მას ეამაყება დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის აღდგენა, რომელსაც დაარსებიდან 70 წელი უსრულდება. მარგველაშვილის განცხადებით, სწორედ ფსიქოლოგიის ინსტიტუტი უნდა გახდეს ქართული მეცნიერების განახლების საწინდარი.

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს წინასაარჩევნო კამპანია ჯერ არ დაუწყია. როგორც მარგველაშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, ორი დღე კიდევ სჭირდება იმისთვის, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე გარკვეული აქტივობა განახორციელოს.

გუშინ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს წინასაარჩევნო განცხადებები არ გაუკეთებია. ის პრესას დაჰპირდა, რომ პრესკონფერენციას მოიწვევს და ყველა შეკითხვას, რომლებიც მის, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ იქნება, პასუხს გასცემს.

კითხვაზე, რვათვიანი მუშაობის შემდეგ რა არის მისი, როგორც მინისტრის მიღწევა, მარგველაშვილმა ერთგვარი ჩამონათვალი გააკეთა.

პირველი, რაც ამ კუთხით მარგველაშვილმა აღნიშნა, სისტემის დეპოლიტიზება იყო. ჩამონათვალშია: მასწავლებელთა გაზრდილი ხელფასები, სასკოლო ავტობუსები, უფასო სახელმძღვანელოები, სტუდენტთა გაზრდილი დაფინანსება.

გიორგი მარგველაშვილის მინისტრობის პერიოდს ასევე ახლდა ხმაურიანი საპროტესტო აქციები, რომლებიც აგრარულ უნივერსიტეტსა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონს უკავშირდებოდა. სწორედ ამ საპროტესტო აქციებზე მარგველაშვილი სტუდენტებთან მოულოდნელად ჩადიოდა და მოლაპარაკებებს სთავაზობდა.

კიდევ ერთი ხმაური გამოიწვია უფასო წიგნების იდეამ, თუმცა ამჯერად „ხმაურის“ ავტორები გამომცემლები იყვნენ, ისინი დადებული ხელშეკრულების დაცვასა და მათი უფლებების დაცვას ითხოვდნენ.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელსაც დღეს ვდგამთ, არის ის, რომ დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის აღდგენით იწყება მეცნიერების წარსულის აღიარება და ახალი მეცნიერების მშენებლობა. წელს დიმიტრი უზნაძის მიერ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დაარსე-




ბიდან 70 წელი გავიდა და მე დიდი სიამაყითა და აღტაცებით ვამბობ იმას, რომ საქართველოში ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აღდგება, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

გუშინ „ღია მმართველობის“ ფარგლებში გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა. პრესკონფერენციაზე მან განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე თამარ სანიკიძის კანდიდატურა წარადგინა. სანიკიძე მარგველაშვილის პირველი მოადგილეა. როგორც ის აცხადებს, სანიკიძის კანდიდატურა მან შესთავაზა პრემიერ-მინისტრს და ბიძინა ივანიშვილიც დაეთანხმა.

სანიკიძის კანდიდატურამდე მარგველაშვილმა განათლების სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა.

გიორგი მარგველაშვილი დარწმუნებული არაა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებზე პედაგოგებს „შპარგალკები“ მართლა აღმოუჩინეს.

– ჩვენ დარწმუნებული არ ვართ, „შპარგალკები“ იყო თუ რა იყო ის, – ამბობს მარგველაშვილი.

რაც შეეხება სანიკიძეს, ის მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება პედაგოგების მომზადებისთვის მეტი რესურსისა და დროის დახარჯვაა.

გავრცელებული ინფორმაციით, უფრო ზუსტად კი გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ მაია მიმინოშვილის ცნობით, 4 ივლისს პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდებზე „შპარგალკები“ აღმოუჩინეს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრ თამარ სანიკიძეს „უმწიკვლო ბიოგრაფია აქვს“ – სწორედ ამ ფრაზით წარუდგინა ჟურნალისტებს მარგველაშვილმა მინისტრობის კანდიდატი.

– ჩვენ დიდი ხანია, ერთად ვმუშაობთ. თამარი იმ ინსტიტუტში სწავლობდა, რომელსაც მანამდე მე ვხელმძღვანელობდი. ის ასევე ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლობდა, მუშაობდა როგორც „ჯიპაში“, ასევე ურბანულ ინსტიტუტში და, რეალურად, ბოლო 8 თვის განმავლობაში ჩემთან ერთად გეგმავდა და ახორციელებდა ამ ცვლილებებს. თამარი არის ადამიანი, რომელსაც მართლა უმწიკვლო ბიოგრაფია და მენეჯმენტის მიმართულებით ძალიან სერიოზული მიღწევები აქვს. ეს არის ადამიანი, რომელიც უპრობლემოდ ახორციელებს ურთიერთობას პარლამენტში და ბოლო პერიოდის განმავლობაში, ის კანონები, რომლებიც პარლამენტში გადიოდა, მისი ხელმძღვანელობით იყო და მან შეძლო, ძალიან ეფექტურად ემუშავა როგორც საპარლამენტო უმრავლესობასთან, ასევე უმცირესობასთან და, შესაბამისად, მე თამარის კანდიდატურა პრემიერ-მინისტრს წარვუდგინე და პრემიერისგან მივიღე თანხმობა, – განაცხადა მარგველაშვილმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის კანდიდატ თამარ სანიკიძის განცხადებით, მისი გეგმები იმ სტრატეგიიდან და ხედვიდან გამომდინარეობს, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს.

– ვიყავი საქმის კურსში, რომ ჩემი კანდიდატურა იყო ერთ-ერთი, რომელიც ამ პოსტზე განიხილებოდა, თუმცა გადაწყვეტილება უფრო დაჩქარებულ რეჟიმში იქნა მიღებული, რადგან გიორგი მარგველაშვილმა გადაწყვიტა დროზე ადრე პოსტის დატოვება. ჩემი გეგმები გამომდინარეობს იმ სტრატეგიიდან და იმ ხედვიდან, რომელიც გვაქვს, იმ რეფორმებთან დაკავშირებით, რომლებსაც ვგეგმავთ და რომლებზეც ამდენი ხანია ვმუშაობთ. ეს გეგმა და სტრატეგია საზოგადოებისთვის ნაწილობრივ ნაცნობია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ დიდი ნაწილი კიდევ გასაშლელია, რასაც უახლოეს მომავალში მე გავაკეთებ და ამ სტრატეგიაზე მუშაობას პირდაპირ და მიზანმიმართულად დავიწყებთ, – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

სანიკიძემ როგორც აღნიშნა, სკოლის დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდები უახლოეს დღეებში ჩატარდება.

მისი თქმით, სწორედ გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე ამ პროცესის დასრულების შემდეგ მოხდება სკოლების ახალი დირექტორების დანიშვნა.

გაირკვა, რომ განათლებისა და მეცნიერების მომავალი მინისტრი თა-



მარ სანიკიძე დაგეგმილი რეფორმებისა და აღებული კურსის შეცვლას არ აპირებს.

– კურსი და რეფორმები დაგეგმილია და მიყვანილია იმ კონდიციამდე, როდესაც უშუალოდ განხორციელებაზე უნდა გადავიდეთ და, რეალურად, ამ მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადაიდგა. რა თქმა უნდა, კურსის შეცვლას არ ვაპირებ. რეფორმების პერიოდში ეს ყველაფერი კიდევ უფრო დაიხვეწება, საზოგადოებისთვის ცნობადი და ხელმისაწვდომი გახდება, იქნება მათი ჩართულობაც და მათი აზრიც იქნება გათვალისწინებული, – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

გუშინ სანიკიძემ ასევე აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა გადაიხედება.

– საბოლოოდ, იმ კონდიციამდე მივალთ, როცა მოქალაქეებს იმ პროდუქტს შევთავაზებთ, რომელიც განვითარებულ ქვეყნებშია, საითკენაც ჩვენ მივდივართ, – დასძინა სანიკიძემ.

მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან კიდევ ერთხელ ისაუბრა იმ სამუშაოზე, რომელიც მისი მინისტრობის პერიოდში ჩატარდა.

– პირველ რიგში, ჩვენ განათლებისა და მეცნიერების სისტემის დეპოლიტიზაცია მოვახდინეთ. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი იმ გარდამავალ პერიოდში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით. ჩვენ ვიცით, როგორ იმართებოდა განათლებისა და მეცნიერების სისტემა. მმართველობის მკაცრი ხელის გარეშე სისტემა თავისუფლად და ეფექტურად მუშაობს. მე მინდა, საგანგებო მადლობა ვუთხრა ყველა იმ პროფესორსა და მასწავლებელს, რომელიც ამ პროცესში გვერდში ამოგვიდგა, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ თანამდებობაზე მისი ყოფნის პერიოდში მასწავლებლების ხელფასები დაახლოებით, 25-დან 60%-მდე გაიზარდა.

– ასეთი ხელფასის ზრდა 70 000-მდე მასწავლებელს შეეხო, ასევე სკოლის ადმინისტრაციის ხელფასები გაიზარდა და ზრდა 15000-მდე სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელს შეეხო. სასკოლო ავტობუსების სისტემა დაფუძნდა. შეიქმნა უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა, რომელიც სექტემბერში განხორციელდება, – განაცხადა მინისტრმა.

განათლების ახალი მინისტრი თამარ სანიკიძე ფიქრობს, რომ გამომცემლებთან უთანხმოება წარსულში დარჩება.

– გამომცემლებს რაც შეეხება, ჩვენ გავაგრძელებთ მათთან მუშაობას, მაგრამ ეს თანამშრომლობა იქიდან გამომდინარე იქნება, რა ცვლილებაც საგანმანათლებლო შინაარსში შევიდა. ვფიქრობთ, უთანხმოება წარსულში დარჩება და ეს არ არის იმ ტიპის უთანხმოება, რომელმაც შეიძლება თანამშრომლობას ხელი შეუშალოს, – განაცხადა სანიკიძემ.



## შინაგან საქმეთა მინისტრი ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, დღეს სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს-ფილიპ ლეფორტს შეხვდა. შეხვედრას ასევე, მრჩევლები პოლიტიკურ საკითხებში ბჯორნ კუენე და ემანუელ ანკეტილი ესწრებოდნენ .

შეხვედრაზე მხარეებმა, სტრატეგიული დიალოგი ევროკავშირთან და ჟენევის მოლაპარაკებების საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო ასევე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და ბორდერიზაციის პრობლემას.

ნიუსპრესი

## თემურ შაშიაშვილი: „ბევრისთვის პატრიოტიზმი თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მთავრდება“



პოლიტიკურმა მოძრაობა „თეთრებმა“ დღეს პარტიის გაფართოებული სხდომა გამართეს, რომელიც, ამავდროულად, პრეზიდენტობის კანდიდატის შერჩევის დასკვნითი შეხვედრა გახლდათ.

„როგორც ჩანს, ბევრისთვის პატრიოტიზმი და ბრძოლა საქართველოსთვის, პარლამენტში მოხვედრისას ან თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მთავრდება“ – განაცხადა პარტიის ლიდერმა, თემურ შაშიაშვილმა.

„თეთრების“ პრესსამსახურის ინფორმაციით, საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ ამ ანტიქართული და ამაზრზენი პროცესის ყველაზე ტიპიური მაგალითი ზესტაფონია.

„სამადაშვილისა და მისი მაფიოზური კლანის წინააღმდეგ ბრძოლით პარლამენტსა და თანამდებობებზე მოხვედრილნი კი, კარგად შეერწყნენ ფერომაფიას და მისი მფარველები გახდნენ. რად გვინდა ან პრეზიდენტი, ან პარლამენტი, ან მთავრობა, ან სასამართლო, ან არასამთავრობო სექტორი, რად გვინდა პარტიები, თუ უზნეო ფულიანთა თავნებობას წერტილი არ დაესმება, თუ ხალხი ელემენტარულ პასუხს ვერ მიიღებს ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში გაგზავნილ უამრავ წერილზე, თუ ისევ თავგასული იქნება პოლიცია, თუ ასე დაეკარგება კონტაქტი ხალხს დეპუტატთანაც, პარლამენტთანაც და მთავრობასთანაც. ტრაგედიაა, როცა ყურსაც კი არ გაეგონება ის, რასაც საქართველოს ამ უმშვენიერესი ქალაქის გაწამებული ხალხი საუბრობს ბატონ ბიძინა ივანიშვილზე, იმ კაცზე, რომლის იმედითაც, 1 ოქტომბერს საარჩევნო ყუთებთან მივიდნენ“ – განაცხადეს პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე.

ნიუსპრესი

## შსს მიქაუტაძის საქმეზე განცხადებას ავრცელებს

რამდენიმე დღის წინ, თბილისის ზღვაზე გარდაცვლილი 36 წლის მამუკა მიქაუტაძის საქმის გამოძიებაზე, შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოძიების ამ ეტაპზე ვაქვეყნებთ პირველად შედეგებს მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე. ამასთან, საქმესთან დაკავშირებით დასკვნა გამოაქვეყნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გარეგნული დათვალიერების და შინაგანი გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ მამუკა მიქაუტაძეს სხეულზე, კისრის არეში დაზიანების გარდა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია, სხვა ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გარდაცვლილის სხეულზე გამოხატულია მხოლოდ გვამური ლაქები.

გარდა ამისა, ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები: დაიკითხა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, თბილისის მთავარი სამმართველოს საკონტროლო-გამშვები პუნქტის 5 ჯარისკაცი და მათი მეთაური, ასევე ის ექიმი-ნარკოლოგები და ექსპერტები, რომლებმაც მამუკა მიქაუტაძეს ნარკოლოგიური შემოწმება და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ჩაუტარეს. ასევე დაკითხულია – მამუკა მიქაუტაძის მეგობრები, თანამშრომლები და მისი მეუღლე ზიზი ეძგვერაძე,

გამოძიების პროცესში მოწმის სახით და ადვოკატის თანდასწრებით დაიკითხა გელა მანჯავიძეც, რომლის საქმესთან დაკავშირებითაც მამუკა მიქაუტაძე, 5 ივლისს, თავად იყო მოწმის სახით დაკითხული. მანჯავიძემ გამოძიებას განუცხადა, რომ საქმეში ნახსენები ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა მას ეკუთვნოდა. მისივე ჩვენებით, აღნიშნული ნარკოტიკი მან 5 ივლისს, მამუკა მიქაუტაძეს საჩუქრად შესთავაზა, თუმცა მიქაუტაძისგან უარი მიიღო. გელა მანჯავიძის ჩვენებიდან ასევე დგინდება, რომ დაკავების მომენტში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მისი, ან მამუკა მიქაუტაძის მიმართ რაიმე ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

გელა მანჯავიძის ჩვენებით ირკვევა, რომ ის და მამუკა მიქაუტაძე თბილისის მთავარი სამმართველოს შენობის საერთო ფლიგელში ერთად იმყოფებოდნენ, დაკითხვის დროს კი მიქაუტაძე მის მოპირდაპირე მხარეს იჯდა. გელა მანჯავიძის ჩვენებით, მამუკა მიქაუტაძის დაკითხვის პროცესში ამ უკანასკნელის მიმართ გამომძიებლის ან პოლიციის სხვა თანამშრომლების მხრიდან, რაიმე ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონდა.

ამის გარდა, გამოძიების პროცესში, შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტიდან ამოღებულია ქალაქის მთავარი სამმართველოს შენობაზე დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც ასახულია 2013 წლის 5 ივლისს, თბილისის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში მამუკა მიქაუტაძის შეყვანისა და გამოყვანის დრო და გარემოებები. ვიდეო-მასალიდან ნათლად ჩანს, რომ მამუკა მიქაუტაძეს ვიზუალური დაკვირვებით არ ეტყობა ფიზიკური დაზიანება, იგი თავისუფლად გადაადგილდება. ტექნიკური პრობლემის გამო, მიქაუტაძე საგუშაგოსთან დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა. საგუშაგოს ჯარისკაცები თავიანთ ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ მას რაიმე სახის ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდა.

ასევე, საქმეზე გამოძიების პროცესში, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოდან მიღებულია მამუკა მიქაუტაძის მიმართ ნარკოლოგიური გამოკვლევის დროს შედგენილი დოკუმენტები და ფოტომასალა. ფოტომასალის დათვალიერების შედეგად ნათლად ჩანს, რომ მამუკა მიქაუტაძეს სახის არეში რაიმე სახის ფიზიკური დაზიანება არ აღენიშნება.

ამრიგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე დაადგინა, რომ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მამუკა მიქაუტაძის მიმართ ფიზიკური ზეწოლის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე შინაგან საქმეთა სამინისტრო თავს ვალდებულად თვლის მედიას გადასცეს საქმეში არსებული მასალები, მათ შორის ფოტო და ვიდეო კადრები, ასევე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმესთან დაკავშირებით, შსს-ს გენერალური ინსპექცია გამოძიებას აგრძელებს.

ნიუსპრესი

# გიორგი კანდელაკი: „ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი ლადო ბედუკაძე უნდა იყოს“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებს კარგა ხანია სალაპარაკო გამოლეული ჰქონდათ. მათ ჯინაზე აღარც ბიძინა ივანიშვილს მოუყოლია რაიმე ანეკდოტი, რომ ამაზე გადართულიყვნენ. ანეკდოტით ვერა, მაგრამ ერთი განცხადებით პრემიერი ნაციონალებს ძალიან დაეხმარა. ივანიშვილი ამას წინათ მთავარ პროკურორს ჩააცივდა, გინდა თუ არა, ბედუკაძის საქმეს გადახედეო. „კბილამ“, როგორც სჩვევია, ტკბილი და აუღელვებელი ტონით შეუთვალა ბიძინაჩვენს, შენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ არაო.

ივანიშვილი ამ უარის გამო არ გაბრაზებულა. სამაგიეროდ, ნაცმოძმა შექმნა გნიასი. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ორ დღეში ერთხელ ითხოვს კბილაშვილის მოხსნას.

2 დღის წინ მან კბილაშვილის მოხსნა თეა წულუკიანს მოსთხოვა. თეა წულუკიანმა პრეზიდენტს უარი შეუთვალა და თან ისეთი წერილი მიაყოლა, მთელი ნაცმოძი სიმწრისგან გმინავს.

წულუკიანის წერილი გულზე მწარედ დაესო დეპუტატ გიორგი კანდელაკსაც. ჯავრიან გუნებაზე მყოფს, ერთი იდეაც დაებადა და ყველას გაუზიარა. კერძოდ, გიორგი კანდელაკი „ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო კანდიდატად ლადო ბედუკაძის დასახელებას ურჩევს. ამის შესახებ კანდელაკმა ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის იმ ღია წერილის შეფასებისას განაცხადა, რომელიც მინისტრმა პრეზიდენტის მიმართვის პასუხად გამოაქვეყნა.

– რეკომენდაციას გავუწევდი „ქართულ ოცნებას“, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად ლადო ბედუკაძე დაასახელონ, რადგან, ჩემი აზრით, ის არის მათი ნამდვილი სახე. თუ ქალბატონი წულუკიანი, რომელიც იუსტიციის მინისტრია, არ ეთანხმება ბატონი კბილაშვილის ამ გადაწყვეტილებას და მან ამის შესახებ ღიად განაცხადა, მაშინ მას აქვს საშუალება, გამოიყენოს მის ხელთ არსებული უფლებამოსილება და დააყენოს ბატონი კბილაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი, რასაც ბატონი პრეზიდენტი დააკმაყოფილებს, – განაცხადა კანდელაკმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ბედუკაძისთვის ბრალის მოხსნის გადაწყვეტილების გამო მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება სთხოვა.

თეა წულუკიანს პრეზიდენტის მიმართვა უპასუხოდ არ დაუტოვებია და ერთი კაი დარიშხანა წერილი მისწერა. „ახალი თაობა“ ამ წერილს უცვლელად გთავაზობთ.

– ბატონო მიხეილ, მოგმართავთ დღევანდელი, თქვენი სახელით ჩემდამი გამოგზავნილი წერილის პასუხად.

ბრალდებულ ვ. ბედუკაძესთან მიმართებაში საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების თაობაზე ჩემ მიერ არაერთი საჯარო განცხადება და ნეგატიური შეფასებაც გაკეთდა. ჩემი განცხადებების შესახებ, რომლებიც დიდწილად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს ეხებოდა, როგორც ჩანს, თქვენთვის ცნობილია, რადგან წერილში იმეორებთ იმავეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრად ჩემი დამტკიცების პირველი დღიდანვე პროკურატურა გახდა პოლიტიკური წნეხისა და შეკვეთებისგან თავისუფალი. ამან პირდაპირ იქონია დადებითი გავლენა მოსამართლეებზეც, რომლებიც უკვე აღარაფერზე გაცვლიან იმ თავისუფლებას, რომელიც რამდენიმე თვის წინ მიიღეს. თქვენი პოლიტიკური გუნდის მიერ ეს არ გაკეთებულა. სამაგიეროდ, ეს გააკეთა ახალმა პოლიტიკურმა გუნდმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

როგორც იუსტიციის მინისტრი, რომლისთვისაც დამოუკიდებელ, კომპეტენტურ და ძლიერ პროკურორთა კორპუსის ყოლა არის სახელმწიფო პრიორიტეტი, არ მივიჩნევ მიზანშეწონილად, გამოვიყენო „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მონიჭებული უფლებამოსილება და შემოვიდე წარდგინებით მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რაც უნდა არ მომწონდეს პირადად მე, როგორც პოლიტიკურ ფიგურასა და ადამიანის უფლებათა სფეროს სპეციალისტს, ის გადაწყვეტილება, რომელიც მთავარმა პროკურორმა მისი საპროკურორო უფლებამოსილების ფარგლებში სრულიად დამოუკიდებლად მიიღო და რომელიც, სხვათა შორის, აგრეთვე, სრულიად დამოუკიდებლად დაამტკიცა მოსამართლემ. რა თქმა უნდა, მთავარი პროკურორის მხრიდან ჩემი წინასწარი ინფორმირება ამ თემაზე უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ის არის პროკურორი და თქვენც ჩემთან ერთად მოგიწევთ პროკურორებისა და მოსამართლეების პატივისცემა, რათა აღარ ითვლებოდეს საქართველოში, რომ პროკურორი ან მოსამართლე დოქია, რომელსაც, საითაც მოესურვებათ პრეზიდენტებს, მინისტრებსა და სხვა პოლიტიკოსებს, იქით მოაბამენ ყურს. მოსამართლე, პროკურორი და ადვოკატი – -ეს არის ის სამი პროფესია, რომელთაც თქვენც და მეც პატივი უნდა ვცეთ, თუკი მართლმსაჯულების რეალური დამოუკიდებლობა გვსურს. ჩემი კონკრეტული მოვალეობა სხვაცაა – რიგითი პროკურორების კომპეტენციის ამაღლება, პროფესიული სინდისის განმტკიცება და მათთვის დაცულობის განცდის შექმნა, რაც ადრე არ გაკეთდა, რადგან პროკურორი ჩემს წინამორბედს მხოლოდ უკანონო დავალებების შესასრულებლად და შემდეგ გასაწირავად უნდოდა.



დღეს საქართველოს პროკურორთა კორპუსს რთული ჟამი უდგას. როგორც სასამართლოებში, ისე პროკურატურაში, თქვენ და თქვენმა პოლიტიკური გუნდმა მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვეთ. ამიტომაც არის გასაკვირი თქვენი ჩემდამი დღევანდელი მომართვა და თქვენი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ბოლო თვეებში ამგვარი გამამაცურება.

სად იყავით მაშინ, როცა ჩემს სამუშაო მაგიდაზე სტრასბურგის სასამართლოში წლების განმავლობაში ყოველდღე ორმოცამდე ნაწამები თუ უკანონო განაჩენით გაწამებული პატიმრის საქმე იყრიდა თავს?! ან მაშინ, როცა გირგვლიანს სასაფლაოზე ყელი გამოსჭრეს თქვენმა მაღალჩინოსნებმა?! სად იყავით მაშინ, როცა მოხდა ტრაგედია, სახელად „არასრულწლოვანი გვანცა ყუფარაძის განაჩენი“?! სად იყავით და რა გეზეიმებოდათ მაშინ, როცა 26 მაისს საქართველოს მოქალაქეები – თქვენი მოქალაქეები, რუსთაველის გამზირზე ხელფეხშებოჭილნი და ღირსებაშელახულნი ძირს იწვნენ?! სად იყავით, როცა პროკურატურაში ბიზნესმენებს იბარებდნენ „მეგობრული საუბრებისათვის“ და, ამის პარალელურად, ჩემი წინამორბედი მათი ოჯახის წევრებს ქონების დათმობის, ჩუქების ან კიდევ იუსტიციის სახლების უფასოდ შენების ან მოწყობის თანხმობას ართმევდა?! სად იყავით, როცა კეთდებოდა ის 17 000 უკანონო ფარული ჩანაწერი, რომლებიც ახლა აღმოვაჩინეთ და რომლებზეც ჩვენი მოქალაქეთა პირადი ცხოვრება ან კიდევ ადამიანის ღირსების წინააღმდეგ ოფიციალურ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, მათ შორის, წამებაა ასახული?!

რომელი ერთი გკითხოთ, პრეზიდენტო. თუნდაც, სად იყავით მაშინ, როცა სს საპროცესო კოდექსის სწორედ ის 218-ე მუხლი დაწერა თქვენმა გუნდმა, რომლის შედეგსაც ახლა ასე გამალებით აპროტესტებთ? არა მხოლოდ ეს მუხლი, არამედ თავად საპროცესო შეთანხმება საჭიროებს რეფორმას, რადგან ის თქვენ ფულის სანაცვლოდ თავისუფლებით ვაჭრობის ინსტიტუტად აქციეთ და ამ რეფორმას ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ.

თქვენი მხრიდან ახლა ადამიანის უფლებებზე აპელირება დაგვიანებულია. ის, რომ თქვენ თქვენს მთავრობაში „სადისტები და მოძალადეები შეგეპარნენ“, ჩვენი მთავრობის საქმეს არ აადვილებს. ჩემი, მთავრობის ერთი რიგითი წევრის მოკრძალებული შემოთავაზება იქნებოდა, მოგვცეთ საშუალება, მივხედოთ იმ მძიმე მემკვიდრეობას, რაც დაგვხვდა. თქვენ ჩემსავით კარგად უწყით, რომ საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლოდ სჭირდება, რაც შეიძლება მალე გადაშალოს ცხრაწლიანი მმართველობით გამოწვეული ნეგატიური შედეგების ფურცელი, დაარქვას მას ერთხელ და სამუდამოდ „წარსული“ და იყუროს მხოლოდ მომავლისაკენ, – ნათქვამია თეა წულუკიანი საპასუხო წერილში.

# ვაჰაგან ჩახალიანს ახალქალაქის გამგებლად ნიშნავენ

შორენა მარსაგიშვილი

ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი ვაჰაგან ჩახალიანი კვლავ ყურადღების ცენტრშია. პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულმა ვაჰაგანმა ერთი თვის წინ კომპენსაციის სახით 22 მილიონი მოითხოვა. ვაჰაგნ ჩახალიანმა პრეზიდენტის, ყოფილ პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის, დავით ბაქრაძისა და გოგა ხაჩიძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელიც შეიტანა.

– ისინი არაერთხელ გამოვიდნენ ჩემ მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებებით, სიცრუეს ავრცელებდნენ და უსაფუძვლო ბრალდებებს აჟღერებდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დავიწყე, – განაცხადა ჩახალიანმა.

სასამართლომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა და ვაჰაგანიც 22 მილიონის გარეშე დარჩა, მაგრამ ბედმა მაინც არ გაწირა. ახლახან გაირკვა, რომ ის, შესაძლოა, ახალქალაქის გამგებელი გახდეს.

„სამხრეთის კარიბჭის“ ცნობით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატურად საზოგადოება „ერთიანი ჯავახეთის“ ლიდერს, ამნისტიით გათავისუფლებულ ვაჰაგნ ჩახალიანს მოიაზრებენ. ამ ინფორმაციას ჩახალიანი არც უარყოფს და არც ადასტურებს.

– პოლიტიკიდან არც წავსულვარ... რაიმე თანამდებობის დაკავებისკენ მისწრაფება პოლიტიკაში მოსვლის ან წასვლის კრიტერიუმი არ არის. ციხეშიც კი პოლიტიკით ვიყავი დაკავებული, იქნებოდა ეს განცხადებები თუ სხვადასხვა პროგრამები პოლიტპატიმრებისთვის. ხმების შესახებ კი ვიტყვი, რომ ჩვენ ძალიან საინტერესო ხალხი ვართ. ჩემი კანდიდატურის წამოყენების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ჩემთვის ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან ძნელი იქნება. ჩემს შემთხვევაში ეს იქნება არა წინ, არამედ უკანგადადგმული ნაბიჯი, ერთმნიშვნელოვნად. დემოკრატიაზეა ლაპარაკი, სინამდვილეში კი ამ ხალხს თბილისიდან ნიშნავენ. გამგებლის პოსტზე კანდიდატებს შორის ახლობელი ადამიანებიც არიან და ნათესავებიც. ვიმეორებ, საქმე აქ მოვლენაშია. მერაბიშვილმა თავის განცხადებაში დავით რსტაკიანის სახელი ახსენა. ამით დაამტკიცა ჩემი სიტყვების სიმართლე, რომ საკრებულოს შემადგენლობას არჩევნებამდეც თბილისში წყვეტდნენ. ყველაფერს ისინი წყვეტდნენ. ნათელია, რა საშინელია ეს პოლიტიკა, საკუთარი თანამოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული. თანამდებობისკენ არასდროს ვისწრაფვოდი და არც ახლა მინდა. თუ ამ ნაბიჯს გადავდგამ, ამას ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების ინ-



ტერესებიდან გამომდინარე გავაკეთებ. ჯერ არის დრო გამგებლის დანიშვნამდე, მაგრამ რამდენიმე დღის წინ უკვე სახელდებოდა ამ თანამდებობის მომავალი მფლობელის გვარი. ვიმეორებ, რომ არავის წინააღმდეგი არ ვარ. ჩვენ პატივს ვცემთ თბილისის გადაწყვეტილებას, მაგრამ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იყოს ურთიერთპატივისცემაც, რომ თბილისში მჯდომი თანამდებობის პირი ადგილობრივი მოსახლეობის აზრს პატივს სცემდეს, – აცხადებს „სამხრეთის კარიბჭესთან“ საუბარში ჩახალიანი.

ის გამგებლის გადადგომის მიზეზებზეც საუბრობს და მიიჩნევს რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

– სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ადამიანმა, ვისაც ერთ დღეს წასვლა არ უნდოდა, მეორე დღეს განცხადება დაწერა. დაავალდებულეს. ასეთი მოვლენების წინააღმდეგ ვიბრძვით, რომ არავინ არაფერს გვავალდებულებდეს. დღეს საქართველოში მხოლოდ კანონისა და მოსახლეობის წინაშე უნდა იყო ვალდებული, – აღნიშნავს ჩახალიანი.

24 ივნისს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნაირი ირიციანმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. იმავე დღეს ახალქალაქში რამდენიმე ვერსია გაჩნდა, რა მოხდა სინამდვილეში, ეს იყო ირიციანის სურვილი თუ იგი, უბრალოდ, აიძულეს.

„სამხრეთის კარიბჭის“ ცნობით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რამდენჯერმე გავრცელდა ხმა, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი უნდა წავიდეს ან უკვე მიდის. ნაირი ირიციანისა და საკრებულოს თავმჯდომარე ჰამლეტ მოვსისიანის გადარჩევას აქციებით ცდილობდნენ „ქართული ოცნების“ ახალქალაქელი აქტივისტებიც.

თუმცა ნაირი ირიციანი მოულოდნელად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართული ოცნებაში“ გადაბარგდა. ამან გააჩინა ვარაუდი, რომ, გავრცელებული ხმების მიუხედავად, იგი ამ თანამდებობაზე კიდევ დიდხანს დარჩებოდა. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, „სამხრეთის კარიბჭისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნაირი ირიციანი ამტკიცებდა, რომ დაკავებული თანამდებობიდან წასვლას 15 რიცხვამდე 100%-ით არ აპირებდა, თუმცა აქვე ამბობდა, რომ გამორიცხულიც არაფერი იყო.

– იცით, ცვლილება დასაშვებია, რადგან, თუ დააკვირდებით, საქართველოში მომუშავეთა 80% შეიცვალა. თუ ამ საკითხს კანონის კუთხით მივუდგებით, ჩემი შეცვლა მხოლოდ საკრებულოს შეუძლია, – ამბობდა ირიციანი.

ნაირი ირიციანი ირწმუნება, რომ გადადგომის შესახებ განცხადება საკუთარი სურვილით დაწერა, თანამდებობის დატოვების მიზეზი კი დაღლილობაა: „მე დავიღალე. გუშინ დავიღალე. ერთსა და იმავე სამსახურში მუშაობა ადამიანისთვისაც ძნელია და ხალხიც იღლება ერთი და იგივე ადამიანისგან“.

„ქართული ოცნების“ ზოგიერთი აქტივისტის მოსაზრებით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელზე ზეწოლას ახორციელებდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები რეგიონში მმართველობის სადავეების შენარჩუნების მიზნით.

# რატიანი და თარგამაძე მარგველაშვილს შეცდომებს უთვლიან

შორენა მარსაგიშვილი

გიორგი მარგველაშვილი ამ დღეებში თანამდებობას ოფიციალურად დატოვებს და საპრეზიდენტო მარათონში ჩაებმება. გუშინ მან საანგარიშო პრესკონფერენცია გამართა და თავისი შემცვლელიც წარადგინა. ნაცმოძი მის გამოსვლას გულისყურით ადევნებდა თვალს. რამდენიმესაათიანი ანალიზის შემდეგ მათ მარგველაშვილის განცხადებების შეფასებაც დაიწყეს.

კობა დავითაშვილთან მომუშტიკრივე დეპუტატმა სერგო რატიანმა პარტიის ცენტრალურ ოფისში ჟურნალისტებთან შეხვედრისას იმ შეცდომებზე ისაუბრა, რომლებიც მარგველაშვილმა მინისტრობის პერიოდში დაუშვა.

– მას დაავიწყდა, ესაუბრა პრობლემებზე, ეთქვა, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ მისი პირველი პროექტი და პირველი გადაწყვეტილება ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დახურვა იყო. ამ უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტებს მიეცემოდათ საშუალება, გაცილებით იაფად ესწავლათ, ათჯერ უფრო იაფად, ვიდრე ამერიკაში და მიეღოთ ამერიკული დიპლომი. ბატონმა მარგველაშვილმა ისაუბრა დეპოლიტიზაციაზე და მისი ერთ-ერთი გადაწყვეტილება იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი უნივერსიტეტის – აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმება. მან მოახდინა ისეთი კანონის ინიცირება, რომლითაც უნივერსიტეტების რეორგანიზება შესაძლებელი გახდებოდა მათ უკითხავად. მანვე მოახდინა ინიცირება კანონისა, რომლითაც ახალი თაობის მეცნიერებსა და დოქტორებს უფლებები ეზღუდებათ, – განაცხადა რატიანმა.

მარგველაშვილის ბაასს ქდმ-ს ლიდერი გიორგი თარგამაძეც ადევნებდა თვალყურს. მან განათლების მინისტრის ოთხი შეცდომა დაასახელა.

აი, რა ყოფილა მინისტრის შეცდომები: სუსტი მენეჯმენტი – აგრარული უნივერსიტეტისთვის გაურკვეველი მიზეზებით აკრედიტაციის ჩამორთმევა და სტუდენტების პროტესტის ფონზე ისევ გაურკვეველ პირობებში გადაწყვეტილების შეცვლა და აკრედიტაციის აღდგენა; უსამართლობა – კერძო საკუთრების, კერძოდ, საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა: სახელმძღვანელოების გამო დაპირისპირება გამომცემლებთან და ავტორებთან. სამინისტრომ აღიარა შეცდომა და ბრიტანულ გამომცემლობას ურიცხავს 3.5 მილიონ დოლარს, თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველია 18 ქართული გამომცემლის ბედი;

არაგუნდური ქცევა – როზა ლუქსემბურგის შრომის კოდექსი, რომელიც მთავრობის სხდომაზე მოიწონეს და იქ მარგველაშვილს ხმა არ ამოუღია, თუმცა ცოტა ხანში ზურგს უკან აკრიტიკებდა გუნდის წევრებს; არაპრინციპულობა – უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების განხილვის დროს მარგველაშვილმა ვერ დაიცვა საკუთარი პოზიციები საკუთარ გუნდის წევრებს შორისაც კი, შედეგად კანონპროექტი შეიცვალა, სადაც მუხლი ამოვარდა.

# რატომ ვერ იბრუნებენ ანდერძით დატოვებულ ქონებას

**შორენა კოწოწაშვილი**

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ სამართლიანობის აღდგენის პროცესში ბევრი რამ შეიცვალა. უფლებადამცველებს პრეტენზიები ჯერ კიდევ აქვთ საგამოძიებო ორგანოების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ არაერთი სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმეები გადაიხედა და სასამართლოებსაც მიკერძოება იმდენად აღარ ედებათ ბრალად, არის საქმეების გამოძიებისა და კანონიერად წარმართვის გაჭიანურების შემთხვევები, რომლებზეც გამოძიების დამთავრებას საშველი არ დაადგა. ზოგიერთი ასეთი საქმე შეიძლება საქართველოს ფარგლებს გასცდეს და სტრასბურგში გაიგზავნოს მაშინ, როცა დოკუმენტებით დასტურდება, რომ სულაც არ არის მოუგვარებელი ისე, რომ მასზე გამოძიების დასრულება და კანონიერად წარმართვა შეუძლებელი იყოს.

რა ხარვეზები არსებობს გამოძიების ეტაპზე და რას უნდა მიაქციოს ყურადღება მთავარმა პროკურატურამ? — ამ საკითხთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ ლევან ჭილლაძესთან.

***— ბატონო ლევან, გამოძიებით უკმაყოფილო მოქალაქეების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ, მიუხედავად ქვეყანაში, ერთი შეხედვით, მიმდინარე სასიკეთო ცვლილებებისა, სამართალდამცავ სტრუქტურებში თავი მოიყარა საკმაოდ ბევრმა საქმემ, რომელთა დასრულება არ უნდა იყოს დაკავშირებული დიდ სიძნელეებთან. დაზარალებულების განცხადებით, გამოძიების პროცესში ჯერაც აქვს ადგილი „გავლენიანი ბიძების“ ხელის ფათურს, თანაც ხელს ადებენ არაერთ თანამდებობის პირს.***

— საერთოდ, როცა დაზარალებულებს სამართლის მიღწევა უჭირთ, ბუნებრივია, ახსნას ეძებენ. არც ისაა უცხო, რომ საგამოძიებო ორგანოები საქმეების დროულად გამოძიების ვერგამოძიების მიზეზად ათას საბაბს ასახელებენ, მათ შორის, გავლენიანი თანამდებობის პირების ჩარევასაც, მაგრამ არასდროს არ ამბობენ იმას, რომ საგამოძიებო ორგანოებში ძალიან ბევრმა საქმემ მოიყარა თავი და საქმეების დროულად გამოძიებას ვერ აუდიან.

***— და ეს ამართლებს გამოძიების დაუსრულებლად გაჭიანურებას?***

— რასაკვირველია, არა, მაგრამ გამოძიების გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზი ესეც არის.

***— თქვენც გქონიათ ასე გამოძიების ეტაპზე გაჭიანურებული საქმეები და რა ზომებს მიმართავთ ხოლმე?***

— არათუ მქონია, ახლაც მაქვს, მაგრამ არის ერთი, რომელზეც ღირს საუბარი, რადგან საქმე ეხება რუსეთის მოქალაქეებს. მათი უფლებების დაცვა საქართველოში მხოლოდ ჩემი კი არა, სახელმწიფოს ინტერესებშიც შედის, რადგან მეზობელ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებისთვის ნაბიჯები ამ მხრივაც უნდა გადაიდგას. დაზარალებული ხვდება, რომ საქმის გამოძიება გამიზნულად ჭიანურდება. დაზარალებული რუსეთის მოქალაქე სტრასბურგში აპირებს საქმის გასაჩივრებას, მაშინ როცა ადგილზეც შესაძლებელია ყველაფრის კანონიერი გზის გადაწყვეტა.

***— რაზე დავობს რუსეთის მოქალაქე ქართულ სასამართლოში?***

— საქმე ეხება ცნობილი ქართველი დიპლომატის, სამოქალაქო გენერლის დიმიტრი გვიმრაძის ვაჟს, ალექსანდრე გვიმრაძეს და მის დას ნაილია გვიმრაძე-სტიხოვას, რომლებმაც სამი წლის წინ მიმართეს სამართალდამცავებს, რომ თამარ გვიმრაძე, და-ძმა გვიმრაძეების მამიდა,



ალექსანდრე გვიმრაძისთვის ანდერძით დატოვებულ ქონებას, რომელიც უკანონოდ წაართვეს, უკან დაბრუნებას ვერ ახერხებს, რადგან გამოძიების დასრულებას არ დაადგა საშველი.

***— ქონების დაკარგვაში ვინ მონაწილეობდა?***

— მამიდამ უძრავ-მოძრავი ქონება უანდერძა ამჟამად რუსეთში მოღვაწე ძმისშვილს, ალექსანდრე გვიმრაძეს და არა საკუთარ შვილს ედუარდ შახგალდიანს. ეს უკანასკნელი ახლობლებისადმი მიწერილ წერილში წერს: „დედაჩემის ქონება ჩემს ბიძაშვილს ალექსანდრე გვიმრაძეს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, ნელი კოტორაშვილი, რომელიც ედუარდ შახგალდიანთან სამოქალაქო ქორწინებაში მყოფად თვლიდა თავს, დაეუფლა ნაანდერძევ ქონებას. სწორედ ეს გაუგონარი უკანონობა ვერ დაუმტკიცებიათ და-ძმა გვიმრაძეებს, მიუხედავად მრავალწლიანი დავისა, მაშინ, როცა გამოძიებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ აღნიშნული ქონების მემკვიდრეობაზე თავად ედუარდ შახგალდიანიც კი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ვერ განაცხადებდა პრეტენზიას, რადგან შვილი არ ჰყოლია. მიუხედავად ამისა, დაზარალებულების გასაკვირად, კოტორაშვილმა მოახერხა, ქცეულიყო ედუარდ შახგალდიანის „კანონიერ მემკვიდრედ“ და გვიმრაძეების ქონებაზე საკუთრების უფლება მოიპოვა კანონის უხეში დარღვევით. სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობენ გვიმრაძეები და ვერ შეძლეს.

***— ვისი მიზეზით ჭიანურდება საქმე და ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი, ძველი თუ ახალი მთავრობა? თუ დააყენეთ ადვოკატებმა პროკურორების, გამომძიებლების ან ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი ამ გაჭიანურებისთვის?***

— საქმე ისაა, რომ ბევრი პრეცედენტული საქმე შესანიშნავად არის მოგვარებული ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ. არაერთგზის მივმართეთ სამართალდამცავ ორგანოებს როგორც ძველი, ასევე ახალი მთავრობის პირობებში, მაგრამ გამოძიება მიმდინარეობს და სისხლის სამართლის საქმე აღძრულია გლდანი-ნაძალადევის შსს მთავარ სამმართველოში თაღლითობის ფაქტზე და საქმე ადგილიდან არ იძვრის უკვე სამი წელია. ცხადია, დაზარალებულებს აქვთ პრეტენზია და უკმაყოფილონი არიან.

# კოაბიტაციური საბოტაჟის ვარიაციები

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მე პროცესუალური ნორმის „შემთხვევით გამორჩენა“ თუ სხვა სახის ქმედებები.

შედეგი ყველა შემთხვევაში ერთია: საბოტაჟის ნებისმიერი მცდელობით, ისინი თავიანთ მიზანს, — ხელისუფლების დისკრედიტაციას აუცილებლად მიაღწევენ, რაც შორსმიმავალ პერსპექტივაში წარმატების იმედს ჩაუსახავთ, თუმცა ცალკე სათქმელია რამდენად რეალურია ეს იმედი.

რომ დავუბრუნდეთ ისევ პროკურატურას, მანამ სანამ ბიძინა ივანიშვილი მას სუსტ უწყებად მოიხსენიებდა, ძალოვანი სექტორის ამ უჯრედში მნიშვნელოვანი, შეიძლება არცთუ ძალიან შესამჩნევი, მაგრამ საგულისხმო მოვლენები განვითარდა.

იგულისხმება იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის მიერ, ორიოდე კვირის წინ გაკეთებული ოფიციალური დეკლარირება იმის შესახებ, რომ მთა-



ვარი პროკურორი თავის საქმიანობას აბსოლუტურად დამოუკიდებლად გააგრძელებსო.

როგორც ცნობილია, მთავარი პროკურორი სტრუქტურულად, იუსტიციის მინისტრის დაქვემდებარებაში იყო, თუმცა თეა წულუკიანის მიერ პრესის მეშვეობით გაკეთებულმა განცხადებამ რამდენიმე კითხვის ნიშანი მაინც დაბადა.

სავარაუდოდ, არჩილ კბილაშვილი ნეგატიურად მიიღებდა იუსტიციის მინისტრის მიერ მთავარი პროკურატურის საქმეებში შესაძლო ჩარევას და გამორიცხული არ არის, რომ კულუარებში, უწყების არასათანადოდ ეფექტური მუშაობა სწორედ ამ ფაქტისთვისაც დაეკავშირებინა.

მოვლენათა ლოგიკური ჯაჭვი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ თეა წულუკიანმა არჩილ კბილაშვილისგან დისტანცირება შეგნებულად მოახდინა, რითაც ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა რა თქმა უნდა ერთი-ორად გაზარდა, პასუხისმგებლობის წინაშე მარტოდ დარჩენილმა მთავარმა პროკურორმა კი, უწყების ეფექტიანი ქმედების გაუმჯობესების გზაზე, თვალშისაცემი ნაბიჯები ჯერჯერობით სამწუხაროდ ვერ გადადგა.

გამორიცხული არ არის ისიც, რომ კბილაშვილი მიზანმიმართული საბოტაჟის მსხვერპლი გახდეს, ხოლო აღნიშნული საბოტაჟის მომწყობი შეიძლება იყოს როგორც ძველი ხელისუფლების ნაშთები, ასევე ახალი ხელისუფლებისა და კოალიციის ის პოლიტიკური ძალები, ვისაც მთავარ პროკურატურაზე კონტროლის სრულად აღება შეიძლება სურდეს.

ასე, რომ საფრთხე საბოტაჟისა, როგორც აღვნიშნეთ, მთელ აღმასრულებელ სტრუქტურაში არსებობს, თუმცა ყველაზე გამოკვეთილი ის, მაინც ძალოვან უწყებებშია.

უკვე ყველასთვის ცხადია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მომავალი უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და შესაბამისად, ხელსაყრელი გარემოს არსებობის შემთხვევაში, მის რიგებს ხალხი უყოყმანოდ სტოვებს.

ამის დასტურია თუნდაც ის, რომ რეგიონებში ჩასულ მიხეილ სააკაშვილს, თუ მან ქუჩაში გასვლა გაბედა, ადგილზე 100 მხარდამჭერიც კი არ ხვდება, რაც უდავოდ იმ ფაქტითაა გამოწვეული, რომ პრეზიდენტს აქტივისტთა სპეციალური ტრანსპორტით გადაადგილების ფუფუნება მოაკლდა.

რაც შეეხება ქვეყანაში დაწყებულ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, — საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას, ის საკმაოდ ხმაურიანი და შთამბეჭდავი გამოდგა, რაც პირველ რიგში პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ წევრის, გიორგი კობახიძის ხმამაღალი პროტესტით და ამ ნიშნით, განმხილველი სხდომის დატოვებით გამოიხატა.

როგორც გაირკვა, ბურჯანაძის პარტია იმ საკონსტიტუციო ნორმას აპროტესტებს, რომლის თანახმადაც, ქვეყნის უმაღლეს თანამდებობებზე შესაძლოა იმუშაონ პირებმა, რომელთაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც აქვთ.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ამ ცვლილებას, კონსტიტუციის ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესებზე მორგებად აფასებს.

ის, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ აქ საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როდესაც მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქე იქნება საქართველოს დე-ფაქტო პირველი პირი, მის მიმართ ხალხის სიყვარული და შეიძლება თამამად ითქვას — დამსახურებული სიყვარული იმდენად დიდია, რომ მის მოქალაქეობას, საზოგადოება ყურადღებას ნაკლებად აქცევს.

ამასთან, პრემიერ-მინისტრს აქვს უდიდესი ნდობა ხალხში, რადგან, თუ მის ბეგრაუნდსაც კი არ გავითვალისწინებთ, ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება ავტორიტარული რეჟიმის უსისხლოდ მოშორება, რამაც რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში გათელილ და შეურაცხყოფილ ხალხში, პრემიერს უდიდესი ავტორიტეტი და თუ გნებავთ პოლიტიკური დივიდენდიც მოუტანა.

იმაში, რომ პრემიერი, თავისი მოქალაქეობის მიუხედავად ქვეყნის სამსახურში მაქსიმალურად იდგება, ეჭვის შეტანა ძნელია, მითუმეტეს, რომ მან პოლიტიკაში მოსვლით პრაქტიკულად თავისი წარმატებული ცხოვრება სასწორზე შეაგდო, თუმცა ნორმა კონსტიტუციაში, რომლის თანახმადაც ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი ამავდროულად შესაძლებელია სხვა ქვეყნის მოქალაქეც იყოს, — პერსპექტივაში საკმაოდ დიდი საფრთხის მატარებელია.

თუ აღნიშნული ნორმა კონსტიტუციით დაკანონდება, რა გარანტიები არსებობს, რომ 20 ან 30 წლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტად, პრემიერ-მინისტრად ან პარლამენტის თავმჯდომარედ არ ვიხილავთ პატრიოტიზმის ნიღაბქვეშ შემალულ, კარგად კონსპირირებულ უცხოეთის რომელიმე ქვეყნის აგენტს, რომელიც ხელმძღვანელ თანამდებობაზე პატრიოტული ლოზუნგებით და დაინტერესებული ქვეყნის ფინანსური მხარდაჭერით მოვა.

ასეთ შემთხვევაში, დღეს მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, შესაძლოა თავისი ნეგატიური შედეგი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მოიტანოს.

ასე, რომ ამ გადასახედიდან, სასურველი იქნებოდა მოეწყოთ აღნიშნული ცვლილებების არა განხილვა, არამედ მისი შემუშავება-შექმნის პროცესშიც ჩაერთოთ პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი და არასამთავრობო სექტორი, რაც საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ დღეს, კითხვის ნიშნებს მინიმუმამდე დაიყვანდა.

კიდევ ერთი საკითხი, რამაც ბოლო დროს საზოგადოების ყურადღება მიიქცია და არცთუ პოზიტიური რეაქცია გამოიწვია, — ურეკის შეხვედრა იყო.

საზოგადოება, როგორც აღვნიშნეთ წლების განმავლობაში ავტორიტარული მმართველობის რეჟიმში ცხოვრობდა და ამ რეჟიმის თუნდაც ისეთ წარმომადგენელთან, როგორიც დავით ბაქრაძეა და რომლის მიმართაც, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთაგან, საზოგადოებაში აგრესიის ყველაზე დაბალი დონეა, — შეხვედრა, საზოგადოებაში მაინც უკმაყოფილობას იწვევს, მითუმეტეს, რომ შეხვედრის კონკრეტული შედეგების შესახებ ხალხმა ძალიან მწირი ინფორმაცია მიიღო.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ დავით ბაქრაძემ გარკვეული გარანტიები მიიღო, რაც რა თქმა უნდა, ახალ ხელისუფლებას საზოგადოების თვალში, პოზიტივად არ ჩაეწერება.

უკიდურეს შემთხვევაში, ხალხი მსგავსი შეხვედრების თემების და მოლაპარაკებების შედეგების მაქსიმალურ გასაჯაროებას ითხოვს, რაც ბაქრაძე-ივანიშვილის შეხვედრის დროს ნამდვილად არ ყოფილა.

ბოლო დღეების ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, კი, რომელიც ყველაზე საგულისხმო და იმედისმომცემია, საქართველოში გერმანიის ელჩის ორთვინ ჰენინგს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, დიპლომატმა თავისი ქვეყნის უდიდეს და გავლენიან გამოცემას „დოიჩე ველეს“ საქართველოსთან დაკავშირებით ვრცელი ინტერვიუ მისცა, სადაც, საქართველოში მომხდარი და მიმდინარე მოვლენების შესახებ, პრაქტიკულად რეალური აღქმა დააფიქსირა, ამას კი, ბოლო პერიოდში, საქართველოს მოსახლეობა დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან მოკლებულია.

უფრო მეტიც, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ის ფაქტი, რომ დიპლომატმა, როგორც ამ ბოლო დროს ხდება ხოლმე, ინტერვიუში მტკიცებით ფორმაში კი არ განაცხადა, რომ საქართველოში სექსუალური და რელიგიური უმცირესობების ჩაგვრის ფაქტებმა მოიმატა, არამედ განაცხადა, რომ ამის შესახებ უფლებადამცველი ორგანიზაციები აცხადებენო.

ხოლო რაც შეეხება ამ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, მათ წარმომავლობასა და დაფინანსების წყაროებს, სავარაუდოდ ელჩს ამის შესახებაც ექნება ინფორმაცია.

ბატონი ჰენინგის განცხადებითვე, ქართულ საზოგადოებას შიში მოეხსნა და მან თავისუფლება იგრძნო.

ეს კი, დიპლომატიის ენაზე, სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის აღიარებას უდრის.

ეს მაგალითიც ნათლად აჩვენებს იმას, რომ, დასავლეთის მიმართულებით საინფორმაციო ვაკუუმი ნელ-ნელა ირღვევა, დასავლეთის სულ უფრო და უფრო მეტი წარმომადგენელი ხედავს რეალობას და ამის შესახებ ხმამაღლაც საუბრობს.

ასე, რომ იძულებითი კოაბიტაცია დამნაშავე რეჟიმთან მხოლოდ იმის გამო, რომ დასავლეთი არ განვარისხოთ, საფუძველსმოკლებულია და არგუმენტად ვერ გამოდგება.

თუ საქართველოში სამართალი ნამდვილად იზეიმებს, მაშინ ზოგიერთებს, ზემოთნახსენები საბოტაჟის სურვილი გაუქრებათ, ხოლო დასავლეთი ადრე თუ გვიან, „სამართლიანობის აღდგენის“ სამართლიანობას აუცილებლად აღიარებს.

**ალექსანდრე კაპანაძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი“**

## მიქაუტაძის მეუღლეს შსს-ს გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით ეჭვები არ აქვს

მამუკა მიქაუტაძის მეუღლის ზიზი ეძგვერაძის განცხადებით, ამ ეტაპზე მას არ აქვს საფუძველი შს სამინისტროს გამოძიების პირველად შედეგებსა და სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში ეჭვი შეიტანოს. ამის შესახებ „ფრონტ ნიუსს“ ზიზი ეძგვერაძემ განუცხადა.

„გავეცანი შს სამინისტროს პირველად დასკვნას და ამ ეტაპზე ნამდვილად არ მაქვს საფუძველი, მასში ეჭვი შევიტანო. იმედი მაქვს გამოძიება სამართლიანად გაგრძერლდება. სამინისტროს მიერ გავრცელებული კადრებიც ვნახე და ის ნამდვილად ჩემი მეუღლეა“,— განუცხადა „ფრონტ ნიუს“-ს ეძგვერაძემ.

**ფრონტნიუსი**

## ლეიბორისტები ერთობლივი სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარების ინიციატივით გამოდიან

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი ლეილა გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ ლეიბორისტული პარტიის ბოლო გამოკითხვა დაემთხვა „ენდიაის“ გამოკითხვის პერიოდს და გამოჩნდა, რომ პარტიის შედეგები რადიკალურად განსხვავდება მათი შედეგებისგან.

როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ენდიაის სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, სამართლიანად გამოიწვია საქართველოს მოქალაქეების აღშფოთება.

„ამ კვლევას, ისე როგორც არაერთ უწინდელს, არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. ეს გასაკვირი არცაა, რამდენადაც ბატონ ნავაროს ქართველი პარტნიორი გახლავთ სააკაშვილის გუნდის წევრის, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარის, ლევან თარხნიშვილის კომპანია. მოვუწოდებთ ყველა სოციოლოგიურ კვლევით ორგანიზაციას, არასამთავრობოებს, ტელევიზიებს, დაინტერესებულ პარტიებს, ერთობლივად ჩავატაროთ ხალხში გამოკითხვა, ერთადერთი შეკითხვით: რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს დაუჭერენ მხარს არჩევნებზე?“, — განაცხადა გაფრინდაშვილმა.

ის მიიჩნევს, რომ ამით გაჩნდება შესაძლებლობა ხალხმა მიიღოს სწორი ინფორმაცია და წერტილი დაესვას ფალსიფიცირებასა და პოლიტიკურ სპეკულაციას.

„სოციოლოგიური კვლევების ჩამტარებლებს კი იქნებ, ამის შემდეგ მაინც, გაუქრეთ საზოგადოებრივი აზრის ციფრებით მანიპულირების სურვილი“, — აღნიშნა მან.

**მედიანიუსი**

# დემოგრაფიული აღორძინების ფონდმა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე წარადგინა

მერი ნამორაძე

რამდენად გაართმევს დემოგრაფიულ პრობლემებს თავს „დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“, უახლოეს მომავალში გამოჩნდება. ჯერჯერობით ფონდი ისევ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებით არის დაკავებული და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს. ფონდის დამფუძნებლებმა – დიმიტრი ხუნდაძემ და თამარ ჩიბურდანიძემ საბჭოს წევრებთან ერთად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ბიზნესმენი ლევან ვასაძე წარადგინეს. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არიან სააქციო საზოგადოება „ბაგრატიონი 1882“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან ვასაძე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი მეუფე შიო, სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე, სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი ჯაფარიძე, კომპანია „რედიქსის“ გენერალური დირექტორი ლაშა პაპაშვილი, „მეიდან ჯგუფის“ დამფუძნებელი ზაზა ნიშნიანიძე და „მედიაპალიტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი გოგა თევდორაშვილი.

როგორც ფონდის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ, განაცხადა, ფონდის მიზანია, რომ საქართველო გადაარჩინოს მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფისგან, რასაც უცხოელი ექსპერტები წინასწარმეტყველებენ. მისივე ინფორმაციით, გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 28%-ით შემცირდება და ქართულ გენოფონდს საშიშროება ექმნება. ამასთან, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წარდგენისას თამარ ჩიბურდანიძემ განაცხადა, საბჭოს წევრები ღირსეული ქართველები, მრავალშვილიანი, ღრმად მორწმუნე ადამიანები არიან. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლევან ვასაძის განცხადებით, მისთვის პატივია აღნიშნული ფონდის საბჭოს წევრობა. მისი განმარტებით, საბჭოს ფუნქციაა, რომ ის შეეხიდოს ფონდის საქმიანობას მართვის გამოცდილების გამოყენებით.

ფონდის სურვილია, რომ 2014 წლიდან, ოჯახში ყოველი მესამე შვილი ყოველთვიური დახმარებით დაფინანსდეს, რადგან ერის რიცხოვნობას მესამე ბავშვი განსაზღვრავს. თუმცა, ზოგიერთ რეგიონში მეორე შვილიც წასახალისებელია, ამიტომ დამფუძნებლები არ გამორიცხავენ, რომ ზოგიერთ რეგიონში მეორე შვილის ყოლისთვისაც მიიღონ ფინანსური დახმარება ოჯახებმა.

„ნიუს-გე“-ს ინფორმაციით, ფონდის გეგმებში შედის, რეგიონალური პოლიტიკის განხორციელებაც. გაიხსნება აბორტების საწინააღმდეგო და ფეხმძიმეთა და ორსულთა ცენტრები. ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდებთან და ემიგრანტებთან ურთიერთობას. ფონდის დაფინანსება შემოწირულობებითა და საქველმოქმედო ღონისძიებით განხორციელდება. „დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“ 2013 წლის 3 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერით დაფუძნდა. ფონდის დამფუძნებლები არიან: დიმიტრი ხუნდაძე, თამარ ჩიბურდანიძე, მანანა კობახიძე, ზაქარია ქუცნაშვილი, ანზორ თოთაძე და თაკო ჩხეიძე.

ფონდის ასპარეზზე გამოჩენა ერთობ დროულია. მესამე შვილის წახალისება ქვეყანაში პატრიარქის მოწოდებამ შეძლო, თუმცა ეს რესურსი თითქმის ამოიწურა – ვისაც ფინანსური შესაძლებლობა გააჩნდა, მაგრამ გადავადებული ჰქონდა მესამე შვილის გაჩენა, პატრიარქის წყალობით გააჩინა. ამჯერად მოწოდებას უკვე ეკონომიკური გამყარებაც სჭირდება, რათა ოჯახმა მესამე შვილის ყოლა აღარ გადაავადოს. ფონდის დამფუძნებლები ვარაუდობენ, რომ ფინანსური დახმარება მესამე შვილზე რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდება.

# გიგი უგულავა: „ვახტანგ რჩეულიშვილი ლოკალური დონის აფერისტია“



თბილისის მერი, გიგი უგულავა ვახტანგ რჩეულიშვილის იმ ბრალდებებს ეხმაურება, რომლის თანახმადაც, ის კომპანიის მმართველობის წართმევაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტ, გიორგი ქადაგიძესთან ერთად მონაწილეობდა.

როგორც დედაქალაქის მერმა თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის ერთი მხრივ სასიხარულოა, რომ მისი ბრალდების მთავარი მოწმე საერთაშორისო დონის აფერისტი ჯოზეფ ქეია და, მეორე მხრივ, სამწუხაროდ, ლოკალური დონის აფერისტი ვახტანგ რჩეულიშვილი.

„მესმის, რომ რჩეულიშვილი ოჯახში მამაკაცია და ცდილობს ქალბატონების დაცვას, თუმცა იგი ამას აკეთებს, უღირსად და უსირცხვილოდ და გულისამრევი ფორმით. ეს, მხოლოდ და მხოლოდ, დასანანია. ღმერთმა აპატიოს ის სისულელეები, რაც განაცხადა. რჩეულიშვილმა ქადაგიძის გვარიც ახსენა, თუმცა ქადაგიძეს ამ საქმესთან კავშირი არ ჰქონია გარდა იმისა, რომ მე მას დავურეკე და ვთხოვე რეკომენდაცია გაეწია რამდენიმე ადამიანისთვის, ვინც კომპანიის მენეჯმენტის მართვას განახორციელებდა. 15 ასეთი ადამიანი შეირჩა, რომელიც დაეხმარებოდა კომპანიას, თუმცა მართვის ხელშეკრულება რჩეულიშვილმა უკვე გააუქმა და ეს იმას ნიშნავს, რომ მას „ცენტრ პოინტი“ არავისთვის გადაუცია“, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ის დადებითად აფასებს იმას, რომ „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლები გირაოთი გაათავისუფლეს, თუმცა მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ბინას ვერცერთი დაზარალებული ველარ მიიღებს, რადგან კომპანიის ქონება დაყადაღებულია.

„პროკურატურამ სამწუხაროდ, ვითომ სამართლიანობა აღადგინა, სინამდვილეში, ერთხელ და სამუდამოდ გადაუწურა ადამიანებს ბინის მიღების იმედი, რომლებიც ამდენი ხანია ბინას ელოდებიან „ცენტრ პოინტისგან“. რაც დღეს ხდება, აწყობს ერთადერთ ადამიანს – რჩეულიშვილს და არ აწყობს იმ ათასობით ოჯახს, რომელთაც პირი აქვს დაფჩენილი და უშედეგოდ ელოდებიან ბინების დაბრუნებას. ეს არის ბინძური ცილისწამება და თუ ჰგონია რჩეულიშვილს, რომ ეს ცილისწამება შერჩება იმიტომ, რომ დღეს მოდაშია ტალახი ყველამ მე მესროლოს, ეს ყველაფერი მივა სასამართლოში“, – განაცხადა უგულავამ და დასძინა, რომ სასამართლოში დაინახავს, ყველა რა არის რეალობა.

მედიანიუსი

# მიკროავტობუსის მძღოლებს საზაფხულო მოსაკრებელი დაუწესეს

მერი ნამორაძე

„თბილისის მიკროავტობუსი“ მძღოლებს შეღავათს სთავაზობს და საზაფხულო მოსაკრებელს უწესებს. გუშინ ამის შესახებ განცხადება „თბილისის მიკროავტობუსის“ გენერალურმა დირექტორმა, დავით ასანიძემ გააკეთა. ზაფხულის სეზონის დაწყების შემდეგ, რადგან მოსახლეობა დასასვენებლად მიემგზავრება და თბილისში მგზავრთა რაოდენობა კლებულობს, სამარშრუტო ტაქსებს კლიენტი აკლდებათ. რამდენიმე დღის წინ №26 მიკროავტობუსის მძღოლებმა გააპროტესტეს კიდეც მგზავრთა სიმცირის გამო დიდი მოსაკრებელი. ინციდენტი მალე ამოიწურა, „თბილისის მიკროავტობუსმა“ კი გადაწყვიტა, შეღავათი ყველა იმ ხაზზე გაავრცელოს, სადაც მგზავრთა ნაკადის კლება ფიქსირდება.

– შემცირებული მგზავრები მძიმე ტვირთად რომ არ დააწვეს მძღოლებს, გადავდივართ საზაფხულო მარშრუტის მოძრაობის გადასახადზე და ეტაპობრივად ხაზებს დააკლდებათ მარშრუტზე მოძრაობის გადასახადი. ეს გაგრძელდება 15 სექტემბრამდე, ვიდრე არ აღდგება მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ჩვეულებრივად ახასიათებს თბილისს, – აღნიშნა ასანიძემ.

სხვადასხვა სამარშრუტო ხაზზე მძღოლებს მოსაკრებელი სხვადასხვა რაოდენობით დააკლდებათ. საუბარია 20-30 პროცენტიან კლებაზე. საშუალო ყოველდღიური მოსაკრებელი მძღოლებისათვის 55 ლარიდან განისაზღვრებოდა. დიფერენციაციის აუცილებლობა გამოწვეულია იმითაც, რომ მგზავრთა ნაკადი ზოგიერთ ხაზზე ზაფხულში კლების მაგივრად იმატებს კიდეც. იგეგმება მანქანების რაოდენობის შემცირებაც.

როგორც გენდირექტორი აღნიშნავს, მგზავრთა პრეტენზიები სამარშრუტო ტაქსების კონდიცირებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია და პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში მგზავრებს შეუძლიათ ცხელი ხაზის დახმარებით დაუკავშირდნენ „თბილისის მიკროავტობუსის“ შეფობას:

– მძღოლებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. არ არიან ისინი რობოტები, რომ თავში ჩაუდო, რა უნდა გააკეთონ... ამიტომ, გაფრთხილება გვაქვს მიცემული, ამ საკითხზე კოლონის უფროსები მუშაობენ და მგზავრები თუ უკმაყოფილონი დარჩებიან იმით, რომ მძღოლმა არ ჩართო კონდიციონერი, ან სხვა პრეტენზიები ექნებათ, ისეთი შემთხვევებიც არის, რომ ვიღაცამ დაკარგა, დარჩა რამე მანქანაში ცხელი ხაზის მეშვეობით დარეკავენ კომპანიაში და ვეხმარებით, – აღნიშნა ასანიძემ.

მძღოლებთან პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, კომპანიას დაჯარიმების უფლება არ აქვს და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ხაზზე გასვლას რამდენიმე დღით აუკრძალავენ იმის მიხედვით, თუ რა სახის გადაცდომა ჩაიდინა მძღოლმა.

მოკლედ, თბილისში ისეთი სიცხეებია, თავად მძღოლებიც წუხდებიან და კონდიციონერსაც მონდომებით რთავენ. თუმცა, მთელი დღე კონდიციონერთან ჯდომა კარგს არაფერს დააყრის მძღოლის ჯანმრთელობას, ამიტომ შიგადაშიგ მგზავრებიც უნდა შევიდნენ მძღოლის მდგომარეობაში და პირიქით.



მძღოლებს კი გაუწიეს შეღავათი კომპანიის მესვეურებმა, მაგრამ მგზავრების ჯიბეს შეღავათს ვერაფრით უწევენ. სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით დამოკიდებულება არ იცვლება:

– ტარიფის გადახედვა დღის წესრიგში არ დგას. კომპანია მუშაობს ნულოვან მოგებაზე. ჩვენ ვიხდით მხოლოდ მიმდინარე ხარჯებს, ჩვენი მოგება დაგეგმილია დაახლოებით 6 წლის შემდეგ. 6 წელი მოგება არ გვექნება და ტარიფი რომ ჩამოვწიოთ, ვერ შეინახავს ეს მანქანები თავის თავს. ეს არის კომერცია, ახალი მანქანები ძვირი ღირს, მათმა შემოყვანამ საკმაოდ დიდი ინვესტიცია მოითხოვა, – განაცხადა ასანიძემ.

# ირაკლი ჩიქოვანმა პრეზიდენტს თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრმა, ირაკლი ჩიქოვანმა თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა.

როგორც „მედიანიუსს“ კომისიაში განუცხადეს, 2013 წლის 15 ივლისს კომისიაში შემოვიდა ირაკლი ჩიქოვანის ხელმოწერით ორი განცხადება, ერთი განცხადებით ის საქართველოს პრეზიდენს მიმართავს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს, მეორე განცხადებით კი, კომისიის ამჟამინდელ თავმჯდომარეს, კარლო კვიტაიშვილს მიმართავს და საქართველოს პრეზიდენტის სახელზე დაწერილი განცხადების გადაგზავნას ითხოვს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ირაკლი ჩიქოვანი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე 2009 წლის 13 ივნისიდან 2013 წლის 12 აპრილამდე იყო. 2013 წლის 12 აპრილიდან დღემდე კი კომისიის წევრის თანამდებობა ეკავა.

მედიანიუსი



# ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებმა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სარჩელი უკან გაიხმეს

2013 წლის 10 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებმა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სარჩელი უკან გაიხმეს, – იტყობინება ვანო ჩხარტიშვილის პრესსამსახური. მისივე ცნობით, საქმე ეხებოდა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში, 2011 წლის დეკემბერში, ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეების მიერ ყულევის ნავთობტერმინალთან დაკავშირებით ბიზნესმენის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ სარჩელს.

მედიანიუსი



# ნინო ბურჯანაძე: „პაატა ბურჭულაძე არის ადამიანი, რომელმაც პროფესიონალიზმის ფასი ძალიან კარგად იცის“

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლის პაატა ბურჭულაძის გადაწყვეტილებას, იმის თაობაზე, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩართვას არ აპირებს, დადებითად აფასებს.

როგორც „ნეიუსპრესს“-თან საუბარში ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, პაატა ბურჭულაძესთან მას დიდი ხნის ნაცნობობა და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს და მისი პიროვნებიდან გამომდინარე, სავარაუდოც იყო, რომ მომღერალი და ქველმოქმედი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და რამდენიმე პოლიტიკური პარტიის მიერ შეთავაზებულ წინადადებას არ დათანხმდებოდა.

„ძალიან დიდ პატივს ვცემ მას როგორც არაჩვეულებრივ ადამიანს, ძალიან კარგ მოქალაქეს, ღირსეულ პიროვნებას და არაჩვეულებრივ ხელოვანს. სიმართლე გითხრათ მე ვფიქრობდი კიდეც, რომ ის არ დათანხმდებოდა კენჭისყრაზე, იმიტომ, რომ ის არის ძალიან ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანი და ამავდროულად ის არის პიროვნება, რომელმაც ძალიან კარგად იცის პროფესიონალიზმის ფასი.

პაატა ბურჭულაძე არის ძალიან მაღალი რანგის პროფესიონალი და მის პროფესიონალიზმს ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ სფეროში. მე მას წარმატებას ვუსურვებ და დარწმუნებული ვარ, რომ უამრავ ადამიანს კიდევ ბევრჯერ მიანიჭებს ბედნიერებას თავისი ხელოვნებით. ის ამავდროულად არის არაჩვეულებრივი ქველმოქმედი და მჯერა, რომ კიდევ უამრავ სასიკეთო საქმეს გააკეთებს ჩვენი ქვეყნისთვის.

უნდა ავღნიშნო ისიც, რომ მე და პაატას ძალიან კარგი მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთისადმი და მეტსაც გეტყვით, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა კარგ და კეთილ წამოწყებაში ბატონი პაატა ისევე იქნება ჩემი გულშემატკივარი, როგორც მე ვიყავი მისი გულშემატკივარი წლების განმავლობაში“ – განაცხადა „ნიუსპრესს“–თან საუბარში ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

# რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს ხუთი მოქალაქე დააკავეს

გორის რაიონის სოფელ ახალუბანსა და ხვითში რუსმა სამხედროებმა, ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით, საქართველოს ხუთი მოქალაქე დააკავეს.

როგორც „მედიანიუსს“ გორის გამგეობაში განუცხადეს, სამი მათგანი სოფელ ახალუბნიდან არის, ორი კი სოფელ ხვითიდან.

სოფელ ახალუბნიდან გატაცებულები არიან ოთარ და ნუგზარ ელიაურები და გია ძურძუკი. ისინი რუსმა მესაზღვრეებმა იმ დროს გაიტაცეს, როდესაც საქონელს მწყემსავდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, დაკავებულები ცხინვალის მილიციის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში არიან მოთავსებულები.

მედიანიუსი

# მაია ფანჯიკიძე და არჩილ კბილაშვილი აშშ-ში გაემგზავრნენ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილთან და პარლამენტის დეპუტატებთან ერთად, გუშინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველის მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, მინისტრი, მაღალი რანგის შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას. ამასთან, დაგეგმილია მინისტრის სიტყვით გამოსვლები სხვადასხვა კვლევით და არასამთავრობო ორგანიზაციებშიც.

დავით ზალკალიანის ინფორმაციითვე, საქართველოს დელეგაცია ვიზიტის ფარგლებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და იმ წვლილზე ისაუბრებს, რომელიც საქართველოს, საერთო უსაფრთხოების საქმეში შეაქვს.

მაია ფანჯიკიძე ამერიკული კვლევითი ცენტრების კერძოდ, ატლანტიკური საბჭოს, ბრუკინგსისა და აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსაც დაესწრება.

ნიუსპრესი

# „არტ-გენის“ დასკვნითი ნაწილი თბილისშია

ეკა ირემაშვილი

რიგით მეათე ფესტივალი „არტ-გენი“ დასკვნით ნაწილს მასპინძლობს და ბოლო ღონისძიებებს თბილისში მართავს. 14 ივლისიდან ფესტივალის კონცერტები ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ იმართება და მასში საქართველოს ყველა რეგიონია ჩართული. მუზეუმის ტერიტორიაზე კონცერტების ჩატარების პარალელურად, გამოფენილია ხალხური რეწვის ნიმუშები, აქ გაერთიანებულია ფოლკლორის, ქორეოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერების ოსტატები საქართველოს ყველა კუთხიდან. ფესტივალ „არტ-გენის“ მხარდამჭერები, ტრადიციულად, არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქალაქთბილისის მერია, ხოლო ფესტივალის გენერალური სპონსორია ბანკი „კონსტანტა“.

– ყოველ წელს ფესტივალი ირჩევს ძირითად თემას. წელს, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან ერთად, „არტ-გენი 2013“ ეძღვნება ქართულ პოლიფონიასა და მრავალხმიანობას. „არტ-გენი 2013“-ის რეგიონული ფესტივალი 4 ივლისს თელავში, ნადიკვრის პარკში გაიხსნა, ხოლო 7 ივლისს მარტვილში, სოფელ სალხინოში გაგრძელდა, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონი იქნა წარმოდგენილი, – აღნიშნავს ფესტივალის ერთ-ერთი დამაარსებელი და მონაწილე ნიაზ დიასამიძე.

ფესტივალი „არტ-გენი“ წელს საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. 10 წლის განმავლობაში ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ასზე მეტი კონცერტი და ღონისძიება. დღესდღეობით „არტ-გენი“ წარმოადგენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და ხალხმრავალ ფესტივალს, რომელსაც ყოველწლიურად 30-40 ათასი ადამიანი ესწრება.

ფესტივალის პროგრამა კი ასეთია: ხალხური რეწვის, მხატვრობისა და მინანქრის გამოფენა-გაყიდვა ფესტივალის დახურვამდე ყოველდღე გაიმართება, ასევე ჩატარდება მუსიკალური იმპროვიზაციები და მასტერკლასები ყველა დარგში, წარმოდგენილი იქნება ქართული საბრძოლო ხელოვნება „შავფაროსნების“ საჩვენებელი გამოსვლები. მათ შეენაცვლება საქართველოს რეგიონებში არსებული ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები – გურია, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი, ფოთი, ქვემო და ზემო სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, კახეთი, თუშეთი, პანკისის ხეობა, მცხეთა-მთიანეთი, აჭარა.

ყოველი დღის დასასრულს მუზეუმში შეკრებილი საზოგადოებისთვის კონცერტებს გამართავენ „სუხიშვილები“, რობი კუხიანიძე და „აუთსაიდერი“, ნიკა კაჩაროვის და მისი ბენდი, ჯგუფები „რეგიონი“ და „ფრანი“, პოლიფონიური ჯგუფი ესპანეთიდან, ეროვნული სამხედრო საჩვენებელი ორკესტრი, „თამაზ ყურაშვილი და მეგობრები“, ნინო ქათამაძე და ინსაითი, სარდინიული პოლიფონიური ჯგუფი, ჯგუფი „ჩვენებურები“, „ზუმბალენდი“ და წლევანდელ „არტ-გენს“ ნიაზ დიასამიძე და „33ა“ დახურავს.

# „საბას“ ფინალისტები ცნობილია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხვა წლებში მიიღეს ვახუშტი კოტეტიშვილმა, ანა კალანდაძემ, ოთარ ჩხეიძემ, ჭაბუა ამირეჯიბმა და სხვა ცნობილმა მწერლებმა თუ პოეტებმა.

რაც შეეხება ლიტერატურული კონკურსის ნომინაციებს, წელს გამარჯვებულები გამოვლინდებიან ნომინაციებში: საუკეთესო რომანი, საუკეთესო პროზაული კრებული, საუკეთესო პოეტური კრებული, საუკეთესო პიესა, საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი, საუკეთესო თარგმანი, საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა, საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა.

წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია კი ასეთია: ნომინაციაზე საუკეთესო რომანი წარდგენილნი არიან ერეკლე დეისაძე „დამლაგებელი“, ირაკლი ბერიაშვილი „იუდა. 1982“, ირაკლი სამსონაძე „ღრუბელი სახელად დარინდა“, ლადო კილასონია „ფანტომასის კვალდაკვალ“, ლაშა იმედაშვილი „თბილისური ამბავი“, მიხო მოსულიშვილი „ჰელესა“ და ნაირა გელაშვილი „მე ის ვარ“.

ნომინაციაზე საუკეთესო პროზაული კრებული წარდგენილნი არიან გიორგი შერვაშიძე „ჩემი იერუსალიმი“, ზაალ სამადაშვილი „ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე“, ირაკლი ლომოური „ავტონეკროლოგი“, ირაკლი სამსონაძე „შემკრთალი ქუჩა“, ნატა ვარადა „დედის კერძი“, ნელი ბატიაშვილი „გამჭოლი ქარი“, ცოტნე ჩიქოვანი „ცხოვრების გზაზე“, გიო მგელაძე „ესემესი“.

ნომინაციაზე საუკეთესო პოეტური კრებული წარდგენილნი არიან ანდრო ბუაჩიძე „ღამის ნათელი“, ლია სტურუა „დავიწყების დღე“, ბესიკ ხარანაული „მთავარი გამთამაშებელი“, გაგა ნახუცრიშვილი „სტროფი“, გივი ალხაზიშვილი „ეპისტოლეთა წიგნი“, დიანა ანფიმიადი „ახლოხედვის ტრაექტორია“, ვაჟა ხორნაული „როგორც ბაღიდან სურნელება – ლექსი გამოვიდა გულიდან“, იაკი კაბე „ლექსები“, კატო ჯავახიშვილი „ნაცვალი სახელი“.

ნომინაციაზე საუკეთესო პიესა წარდგენილნი არიან ალექს ჩიღვინაძე „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“, ბასა ჯანიკაშვილი „ლაბადა და ფეხსაცმელი“, ბექა ქურხული „აჰა, საცაა ხე წაიქცევა“, დათო ტურაშვილი „დოდოს მოლოდინში“, ირაკლი სამსონაძე „კლინიკური ქორწინება“, ვანო ჩხიკვაძე „20 წლის წინათ“.

ნომინაციაზე საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი წარდგენილნი არიან თამთა დოლიძე „წყლის სახლი“, ლევან ორახელაშვილი „მისტერ მემედ ეფენდის მისტერიები“, მარი ბექაური „ელექტროთაობა“, მარინა ელბაქიძე „გაცვლა“, ნათია მერებაშვილი თარგმანისათვის ტუვე იანსონის „საზაფხულო წიგნი“, ნუკრი ბერეთელი „ჩიხი“, სოფიკო ალავერდაშვილი „ბალეტი ტროტუარზე“, კატია ვოლტერსი „იერიქონის ვარდი“, ზაზა კოშკაძე „შუაღამის ცეკვა კიბოსთვის“.

ნომინაციაზე საუკეთესო თარგმანი წარდგენილნი არიან გია ბერაძე – ჯ. მ. კუტზეეს „სირცხვილი“, გია ბერაძე – ჯეიმს ჯოისის „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“, გია ჭუმბურიძე – ჯ. მ. კუტზეეს „დაიკიდე, ჯივზ!“, გიორგი შაყულაშვილი – ომერ სეიფედინის „პირველი ცოდვა“, გიორგი ქაჯაია – გაიუს პეტრონიუს არბიტერის „სატირიკონი“, დალი ფანჯიკიძე – გრიგოლ რობაქიძის „ქალღმერთის ძახილი“, ზაზა ჭილაძე – იულიამ ფოლკნერის „დროშები მტვერში“, თამარ ჯაფარიძე – ჰენრი მილერის „კირჩხიბის ტროპიკი“, ლია ჩლაიძე – ორჰან ფამუქის „მდუმარე სახლი“, ნანა გოგოლაშვილი – გრიგოლ რობაქიძის „მეგი – ქართველი გოგონა“, ნანა ჯანაშია – ოია ბაიდარის „დაფერფლილები“, ნიკა სამუშია – ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“, ხათუნა ცხადაძე – ანტონიო ტაბუკის „მიაჩნია პერეირას“.

ნომინაციაზე საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა წარდგენილნი არიან ელგუჯა თავბერიძე „კალიმგრაფი“, ოქტაი ქაზუმოვი „129 გვერდი ლიტერატურაზე“.

ნომინაციაზე საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა წარდგენილნი არიან არჩილ ქიქოძე „ესსეები“, გიორგი მაისურაძე „დაკარგული კონტექსტები“, ზაზა ბურჭულაძე „ნორმა“, ლევან ბრეგაძე „ყოფითი რწმენა-წარმოდგენები“, პეტრე მამრაძე „ავანტიურა 08.08.08“, რუსუდან გორგილაძე „კერძთაყვანისცემა“.

# ეროვნულ არქივში საზაფხულო სკოლა გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს ეროვნულ არქივში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით 17 ივლისს ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“ გაიხსნება.**

საზაფხულო სკოლა ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნება და, მსმენელებსა და ლექტორებთან ერთად, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ჯანდიერი, ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

– საზაფხულო სკოლას 20 მსმენელი ჰყავს, მათ შორის უცხო ქვეყნის – 15 და საქართველოს 5 მოქალაქე. პროექტის მიზანია უცხოელი და ქართველი მონაწილეებისათვის საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ყოფის გაცნობა; უცხოელ მეცნიერთა ინფორმირება საქართველოსა და კავკასიის რეგიონის შესახებ ეროვნულ არქივში დაცულ, 1918-1921 წლების დოკუმენტებზე; ლევილისა და ჰარვარდის კოლექციებში არსებული მასალების მნიშვნელობის წარმოჩენა რეგიონის ისტორიის კვლევისათვის; უცხო ქვეყნის სამეცნიერო წრეებში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ცნობადობის ამაღლება და ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შორის კონტაქტების გაღრმავება, – განმარტავს ეროვნული არქივის წარმომადგენელი თეა ქიმერიძე.

მისივე თქმით, საზაფხულო სკოლის მონაწილეებს წამყვანი ქართველი სპეციალისტები 7 დღეში ჩაუტარებენ 23 ლექციას, რომლებიც დაიყოფა 5 მოდულად: საქართველოს პირველი დემოკრატიული ინსტიტუტები; საქართველო და გარესამყარო; საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ისტორია; ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, ადამიანის უფლებები, პრესა; პერსპექტივები, სამომავლო კვლევის დაგეგმვა. ამასთან, მსმენელთათვის გათვალისწინებულია კულტურული ღირსშესანიშნაობებისა და მუზეუმების დათვალიერება. მონაწილეები გაეცნობიან საარქივო დოკუმენტებს, შესაბამისი პერიოდის აუდიოვიზუალურ მასალას.

პროექტის ფარგლებში ლექციებს წაიკითხავენ ქართველი მეცნიერები, პროფესორები დიმიტრი შველიძე, ოთარ ჯანელიძე, მალხაზ მაცაბერიძე; ახალგაზრდა მეცნიერები – ისტორიის დოქტორანტები ბექა კობახიძე, გიორგი გაფრინდაშვილი, დიმიტრი სილაქაძე, ასევე, ეროვნული არქივის თანამშრომლები ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ასათიანი, ანტონ ვაჭარაძე და ნინო ძანძავა. ეროვნულ არქივში საზაფხულო სკოლა 23 ივლისს დაიხურება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს საქართვე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ეროვნული ნაკრები ფიზიკურად იტვირთება

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისს შეუდგა. ძირითადი შეკრება, სადაც ყველა კანდიდატი მოიყრის თავს, 25 ივლისიდან სლოვენიის დაბა პოდჩეტრტეკში დაიწყება, ხოლო მანამდე, საქართველოს ნაკრების კანდიდატები თბილისში, ფიზიკურ ვარჯიშებს გადიან.

ნაკრებს თბილისში ახალი ფიზმომზდების მწვრთნელი, სერბი ალექსანდრ ჩვოროვიჩი კოტე ტუღუშთან ერთად ავარჯიშებს. შეკრებაზე 14 კალათბურთელია, რომლებსაც ხვალიდან მანუჩარ მარკოიშვილი შეუერთდება.

თბილისის ფიზმომზადების ვარჯიშებს შემდეგი კალათბურთელები ესწრებიან: გიორგი ცინცაძე (ბუდიველნიკი, უკრაინა), ვიქტორ სანიკიძე (სიენა, იტალია), გიორგი შერმადინი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ნიკა მეტრეველი (პაფონი, იტალია), ნიკოლოზ ცქიტიშვილი (ჩემპვილი, ლიბანი), ბექა ბურჯანაძე (კახასოლი, ესპანეთი), დუდა სანაძე (სან დიეგო, ნცაა, აშშ), ანატოლი ბოისა, ბესიკ ლეჟავა, გიორგი შარაბიძე (ყველა არმია), ლევან ფაცაცია (ოლიმპი), ბექა ჩიკვილაძე (დინამო), მერაბ ბოქოლიშვილი (შსს აკადემია), რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი).

**გიორგი ცინცაძე:**

–საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი ეტაპი გვაქვს, ძალიან ძლიერ გუნდებს ვეთამაშებით. ფიზიკური მომზადება დაგვეხმარება, რომ თამაშებს ყველანი მომზადებული შევხვდეთ და იქ ფიზიკურ მზადყოფნაზე ფიქრი აღარ გახდეს საჭირო. საბედნიეროდ, ტრავმები არ გვაწუხებს და ძალიან მონდომებულები ვართ. ახალი ფიზ. მომზადების მწვრთნელი ავთო ბერიძესთან ერთად გვავარჯიშებს, საინტერესოდ მუშაობს, სერიოზული სპეციალისტია და ეს ძალიან დაგვეხმარება.

**ვიქტორ სანიკიძე:**

– რიკი ჰიკმენს პირადად ვიცნობ, ევროლიგაში მითამაშია მის წინააღმდეგ და შარშან იტალიის ჩემპიონატში თამაშობდა, საკმაოდ ძლიერი გამთამაშებელია და ვფიქობ, ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ძალიან დაეხმარება. ლიუკ ზელერზე ცოტა ინფორმაცია მაქვს, ისიც ძირითადად ვიდეოებიდან და სტატისტიკიდან, იგორ კოკოშკოვი ბევრად ახლოს იცნობს. ამ დღეებში მანუჩარ მარკოიშვილიც შემოგვიერთდება და მალე ნაკრები სრულ სახეს მიიღებს. ფიზიკური მომზადების ეტაპი აუცილებელია, რადგან ევროპის ჩემპიონატზე ძალიან რთული გრაფიკი გვექნება და საჭიროა, ფიზიკურად მზად ვიყოთ.

**ალექსანდრ ჩვოროვიჩი:**

– ფიზმომზადების მწვრთნელი: საქართველოს ნაკრებში მუშაობით კმაყოფილი ვარ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ნაკრებში მუშაობა შემომთავაზა. აქ ყველაფერი პროფესიონალურ დონეზეა და ჩემის მხრივ, მეც ყველაფერს ვაკეთებ, რათა იმ სფეროს მივხედო, რაც მე მაკისრია. ჯერჯერობით ყველა ერთნაირად კარგ ფორმაში არაა. ზოგი უკეთესადაა მზად, ზოგსაც ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი უკლია. ეს იმის გამოა, რომ ზოგ კალათბურთელს გადატვირთული სეზონი ჰქონდა, ზოგმა კი ადრიანად დაასრულა თამაშები. მხოლოდ 1 კვირაა, ვვარჯიშობთ და უკვე გარკვეულ დონეს მივაღწიეთ, თუმცა სამუშაო კიდევ საკმარისად გვაქვს და სანამ სლოვენიაში შეკრებას დავიწყებთ, ვეცდებით, რომ ფიზმომზადებაში პრობლემები არავის არ ჰქონდეს.

**კოტე ტუღუში:**

– მზადება მიმდინარეობს გეგმის მიხედვით. ეროვნულ ნაკრებს ჰყავს ახალი ფიზიკური მომზადების მწვრთნელი ალექსანდრე ჩვოროვიჩი, რომელიც კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. 25ივლისს მივემგზავრებით სლოვენიაში, სადაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი შემოგვირთდება და გუნდი გადავა ტაქტიკურ მომზადებაზე.

# ზესტაფონს ახალი სამწვრთნელო შტაბი და ფეხბურთელები ჰყავს

დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" მიერ ორგანიზებული პრესკონფერენცია გაიმართა. მარგველთა სპორტულმა დირექტორმა მიხეილ ხუციშვილმა საზოგადოებას ქვეყნის ორგზის ჩემპიონთა ახალი სამწვრთნელო შტაბი წარუდგინა.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს" 53 წლის სერბი სპეციალისტი რატკო დოსტანიჩი უხელმძღვანელებს. ბალკანელ სპეციალისტთან გაფორმებულია ორწლიანი (1 პლუს 1) შრომითი ხელშეკრულებება.

რატკო დოსტანიჩი ფეხბურთელობისას მცველი გახლდათ – ჯერ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში" თამაშობდა, შემდეგ კი კარიერის დიდი ნაწილი ფრანგულ გუნდებში გაატარა.

საფრანგეთში, კლუბ „მონლიუსონში" დაასრულა თამაში და იმავე წელს გუნდის მწვრთნელი გახდა (1995-97). შემდეგ, სლავოლიუბ მუსლინის ასისტენტი (1999-2000) გახლდათ „ცრვენა ზვეზდაში", სადაც 2004-05 და 2010 წლებში უკვე მთავარი მწვრთნელის პოზიციაზეც იმუშავა.

ასევე იყო ფრანგული „ბანიოლის" (1997-99), სერბული „ობილიჩის" (2000-02), „სმედერევოს" (2003-04), „ოფკ"-ს (2006-07), „ბეჟანიას" (2007) და „სრემის" (2008-09) ბულგარული „ლევსკის" (2002, 2009) და „სლავიის" (2004, 2006), ჩინური „დალიან შიდეს" (2007-08), მაკედონური „ვარდარის" (2008), ბერძნული „ვერიას" (2007) და „დიაგორასის (2011-12) მთავარი მწვრთნელი.



საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტის პოზიციებზე დანიშნულნი არიან სერბი სპეციალისტი ნებოისა ტოპალოვი და ახლო წარსულში ბოლნისის „სიონის" სპორტული დირექტორი ლევან ბაჯელიძე, რომელიც 2004-05 წლის სეზონში ზესტაფონელთა ღირსებას ფეხბურთელის რანგშიც იცავდა.

**მიხეილ ხუციშვილი:**

– ყველას მოგეხსენებათ, გუნდში იყო გარკვეული პრობლემები, რომლებზეც საუბარი ახლა საჭირო აღარ არის. დღეიდან კლუბი ვარჯიშს ახალი სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობით შეუდგება. „ზესტაფონს" სერბი სპეციალისტი დარკო დოსტანიჩი უხელმძღვანელებს, მას დაეხმარებიან ნებოისა ტოპალოვი და ლევან ბაჯელიძე. ვიმედოვნებ, რომ ეს ადამიანები წარმატებით გაუძღვებიან კლუბს.

**დარკო კოსტანიჩი:**

– დიდი მადლობა ყველას მობრძანებისათვის. ასეთი ხალხმრავლობა ნიშანია იმისა, რომ „ზესტაფონი" ის კლუბია, რომლის ბედი ბევრ ადამიანს აღელვებს. მე ვიცი, რომ „ზესტაფონი" საქართველოს მასშტაბით დიდი გუნდია და მოხარული ვარ, რომ აქ მუშაობის საშუალება მომეცა. საუბარი მქონდა კლუბის ხელმძღვანელთან და ჩვენი აზრები ბევრ რამეში დაემთხვა. შემიძლია დაგპირდეთ, რომ გუნდის ყველა ფეხბურთელი მოედანზე ბოლომდე დაიხარჯება. ჩემი საფეხბურთო კრედოა, რომ გუნდმა შედეგიანად ითამაშოს და მაყურებელმა ისიამოვნოს. ვიცი ამის გაკეთება რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. შეიძლება, თავდაპირველად ამან მთლად სასურველი შედეგი ვერ გამოიღოს, მაგრამ ამ სისტემის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული ვარ. იგი საბოლოოდ აუცილებლად დადებითად აისახება შედეგზეც. აქაური პირობებით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ბევრგან მიმუშავია და ვიტყვი, რომ აქაური გარემო ერთერთი საუკეთესოა. ამასთანავე, ჩემი მიზანია „ზესტაფონის" ყველა გუნდში დავამკვიდროთ ერთიანი სათამაშო სტილი. როგორი საფეხბურთო სისტემითაც ითამაშებს ძირითადი გუნდი, ისევე უნდა ასპარეზობდნენ მეორე და მესამე გუნდებიც, რათა ახალგაზრდა ფეხბურთელებს არ გაუჭირდეთ ძირითად გუნდთან ადაპტირება. ასევე ჩემი სურვილია, ბავშვთა ფეხბურთში ჩაიდოს ინვესტიციები, რათა კლუბს ყოველთვის ჰქონდეს შევსება.

***– ბოლო დროს, რომელ საფეხბურთო კლუბში მოღვაწეობდით?***

– „ცრვენა ზვეზდადან" წამოსვლის შემდეგ, კონტრაქტი ფაქტობრივად გაფორმებული მქონდა ერთ-ერთ ბერძნულ კლუბთან, რომელიც რაღაც საფეხბურთო მაქინაციებში იყო გარეული და ბუნებრივია, ჩემი ურთიერთობა ამ კლუბთან არ შედგა.

***– ქართულ ფეხბურთზე რა წარმოდგენა და ინფორმაცია გაქვთ?***

– 2003 წელს, როდესაც „ცრვენა ზვეზდა" ქუთაისის „ტორპედოს შეხვდა, მაშინ მე კლუბში მთავარი მწვრთნელის სლავოლიუბ მუსლინის ასისტენტი ვიყავი. შემდეგ კიევის „დინამოს" შევხვდით, სადაც კალაძე და დემეტრაძე თამაშობდნენ. დემეტრაძემ გოლიც გაგვიტანა, რაც სასიამოვნო მოგონება სულაც არ არის. მინახავს სერბეთში გიორგი მერებაშვილის თამაშიც. ასევე აქ მოთამაშე სერბი ფეხბურთელებისგანაც მაქვს ინფორმაციები, თუმცა თქვენს საფეხბურთო ჩემპიონატს ცუდად ვიცნობ. ამ ხარვეზს მალე გამოვასწორებ.

***– შემტევ სტილს ანიჭებთ უპირატესობას თუ დაცვითს?***

– ცალსახად ამის თქმა შეუძლებელია. მე, რა თქმა უნდა, შემტევი ფეხბურთი მომწონს და ვეცდები, ჩემი ხელმძღვანელობით „ზესტაფონმა" ასე ითამაშოს, მაგრამ ეს დამოკიდებულია გუნდში მყოფ ფეხბურთელებსა და ასევე თითოეულ მეტოქეზეც. ისე თუ რომელიმე ევროპული ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მოგვიწევს ასპარეზობა, მაშინ თანახმა ვიქნები დაცვითი ფეხბურთიც ვითამაშოთ.

***– გუნდში თქვენი თანამემულეების ჩამოყვანას ხომ არ გეგმავთ?***

– ჯერ არ მინახავს „ზესტაფონის" ფეხბურთელები. ვნახოთ, ისინი რა შესაძლებლობების არიან, მერე კი შეიძლება ფიქრი. ისე, ჩემი აზრია, უცხოელი, რომელსაც მოვიწვევთ, მინიმუმ ორი თავით მაღლა უნდა იდგეს ადგილობრივზე. ასე რომ, ამ საკითხებს მივხედავთ. სერბეთში ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ყველაფერი „ზესტაფონის" მოთხოვნიდან გამომდინარე უნდა გადავწვიტოთ.

***– კლუბის მეპატრონემ პროგრამა-მაქსიმუმი და მინიმუმი თუ დაგიწესათ?***

– როგორც უკვე გითხარით, საფეხბურთო საკითხებში ჩვენი მოსაზრებები დაემთხვა. მე ჩამოსული ვარ, რათა შემტევი და ლამაზად მოთამაშე გუნდი ჩამოვაყალიბო, რომელსაც სასურველი შედეგი ექნება. ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, მირჩევნია საქმით დავამტკიცო ყველაფერი. გეტყვით, რომ ჩამოსული ვარ არა ფულისათვის, არამედ იდეისთვის – შევქმნა კარგი გუნდი.

**სერგო ფუტკარაძე, ზესტაფონის პრეს ატაშე:**

– საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" 21 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით თურქეთში მოემზადება, შემდეგ კი გუნდი დაბრუნდება საქართველოში და 10 აგვისტოდან ჩაებმება ეროვნულ ჩემპიონატში. თურქეთში შედგება რამდენიმე ამხანაგური მატჩი. კლუბში მოვიდნენ გიორგი ადამია, ილია კანდელაკი და ირაკლი ქობალია, ხოლო კლუბი დატოვეს თორნიკე აფციაურმა, შოთა ბაბუნაშვილმა, ალექსი ბენაშვილმა, მამუკა კობახიძემ, რატი წინამძღვრიშვილმა, ზაალ ელიავამ, თემურ ღონღაძემ, ლეგიონერებმა ლოსანომ და პეტკოვმა. კლუბში კიდევ ერთი სიახლეა, გუნდს ჰყავს ახალი ექიმი ზურა ხერხელაური.

პრესკონფერენციის შემდეგ, ნახევარ საათში სერბმა მწვრთნელმა რადკო დოსტანიჩმა თავისი პირველი ვარჯიში დაიწყო. მისი ხელმძღვანელობით 20-მდე ფეხბურთელი მოქმედებდა. ერთი რამ იყო თვალშისაცემი – თანაგუნდელებთან ერთად არ იყო თორნიკე გორგიაშვილი, რომელიც სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში შეუერთდება გუნდს.

ვარჯიშს ასევე არ ესწრებოდნენ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ბალტიისპირეთში მყოფი გურამ სამუშია და ავთანდილ ენდელაძე. საზაფხულო არდადეგების შემდეგ გამართულ პირველ ვარჯიშები გამოტოვეს იმერელთა ლეგიონერებმა – ბოტი გოა დემელმა და მოჰამედ რეკრუკმა, თუმცა ორივე ეს ფეხბურთელი გუნდს რამდენიმე დღეში შეუერთდება.

# 20-წლამდელები ისევ აგებენ

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე 13-20 ადგილებისთვის ბრძოლა მასპინძლებთან წაგებით დაიწყო. დავით უსტიაშვილის გუნდი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ევროპის ჩემპიონატამდე გუნდის ლიდერი ბექა ბურჯანაძე გამოაკლდა, ხოლო ჩემპიონატის მსვლელობისას, კიდევ ერთმა ლიდერმა, გიორგი ცირეკიძემ ტვინის შერყევა მიიღო.

ლიდერების გარეშე დარჩენილმა საქართველოს ნაკრებმა ესტონეთთან 52:74 წააგო. მასპინძლები, რომლებიც ჯგუფიდან ვერ გავიდნენ, ა დივიზიონში დასარჩენად იბრძვიან და საქართველოსთან მოგებით ხელსაყრელ სიტუაციაში არიან. ესტონელები თავიდანვე დაწინაურდნენ და მატჩიც ისე გაილია, საქართველოს წარმატების შანსი არ მისცემია.

პირველ პერიოდში ქართველებმა ლერი კვანტალიანის აქტიურობით მეტოქეს წინააღმდეგობა გაუწიეს და მეოთხედი 16:20 დათმეს. მეორე და მესამე პერიოდები საქართველომ 10-10 ქულით წააგო და მატჩის ბედიც მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა. ქართველთაგან 13 ქულით საუკეთესო ოთარ ფხაკაძე იყო, 10 ქულა დააგროვა რევაზ როგავამ, ხოლო შოთა გელაზონიამ 6 ქულა და 14 მოხსნა დააგროვა. ქართველებმა ფარზე ტოლი არ დაუდეს მეტოქეს, საბოლოოდ ორივე გუნდს 46-46 მოხსნა დაუგროვდა, თუმცა ესტონელებმა მეტი სიზუსტით ესროლეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ.

ჩვენი საკვალიფიკაციო ჯგუფის მეორე მატჩში ბულგარეთმა დაძაბულ ბრძოლაში – 61:57 დაამარცხა შვედეთი.

# სლოვენია საქართველოს დანაკლისით დაუხვდება

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქემ, სლოვენიის ნაკრებმა 16-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა გამოაცხადა. ჩვენდა სასიამოვნოდ, ნაკრების შემადგენლობაში არ არის სლოვენიაელთა ერთ-ერთი ლიდერი, გამთამაშებელი ბენო უდრიჰი, რომელმაც მთელი სლოვენი შოკში ჩააგდო. საქმე ის არის, რომ უდრიჰმა თავიდან სურვილი გამოთქვა ნაკრებში ეთამაშა, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა.

უდრიჰს ნაკრებში 2006 წლის შემდეგ არ უთამაშია, ამჟამად თანხმობა იმიტომ გადაწყვიტა, რომ საკუთარ ქვეყანასა და მის მშობლიურ ქალაქ ცელიეში ტარდებოდა, მაგრამ...

უდრიჰმა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ სლოვენიის ნაკრების გენერალურ მენეჯერ მატეი ავანზოს სმსის საშუალებით აცნობა და არანაირი ახსნა-განმარტება არც მოუყოლებია.

– წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ისიც საქმეა, რომ უდრიჰმა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ ადრეულადვე გვაცნობა და არა შეკრების დასაწყისში. და მაინც, მის საქციელს გამართლება არ აქვს სლოვენიის კალათბურთის ფედერაციის და სლოვენიური საზოგადოების წინაშე. ერთია, ის მაინც ვიცით, რომ კალათბურთელები, ვინც ნაკრებში რჩება, წარმატებისთვის ბოლომდე დაიხარჯებიან. გვჯერა, გუნდში არსებული ჩინებული ატმოსფეროს და უდიდესი მხარდაჭერის ფონზე, სლოვენიის ეროვნული გუნდის ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს, – წერია სლოვენიის კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე.

როგორ სჩანს, ბენოს ქმედებაზე გავლენა იმანაც იქონია, რომ ამჟამად თავისუფალი აგენტი გახლავთ და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი კლუბის ძიებაშია. უდრიჰმა გასული სეზონი „მილუოკიში" დაიწყო და „ორლანდოში" დაასრულა.

უდრიჰის არყოფნა სლოვენიელთათვის მე-2 დიდი დანაკლისია მძიმე ფორვარდ ერაზემ ლორბეკის შემდეგ, რომელიც მომავალ ტურნირზე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს.

სლოვენიის ნაკრების სრული სია კი ასეთია: ნებოისა იოკსიმოვიჩი, გორან დრაგიჩი, იაკა ლაკოვიჩი, იაკა ბლაჟიჩი, ზორან დრაგიჩი, კლემენ პრეპელიჩი, ედო მურიჩი, ბოსტიან ნახბარი, დომენ ლორბეკი, ლუკა ლაპორნიკი, იურე ბალაჟიჩი, იაკა ბროდნიკი, გეზიმ მორინა, მირზა ბეგიჩი, უროს სლოკარი, გასპერ ვიდმარი.

# ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე 18-წლამდელთა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრება. მიხეილ ბერუაშვილის გაწვრთნილ ჭაბუკთა ნაკრებს მაკედონიის ქალაქ შტრუმიცეში 18-28 ივლისს დაგეგმილ ბ დივიზიონში მოუწევს ასპარეზობა.

საქართველოს ნაკრები ბ ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენი მეტოქეები ნორვეგია, ავსტრია, ესტონეთი, გერმანია და ჰოლანდია იქნებიან. მომდევნო ეტაპზე საუკეთესო 2 გუნდი გავა, ჩარჩენილები კი 9-22 ადგილებისთვის იბრძოლებენ. ელიტარულ, ა დივიზიონში ტურნირის საუკეთესო 3 გუნდი აინაცვლებს.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის თბილისში ემზადებოდა, ხოლო საკონტროლო მატჩები ლუქსემბურგსა და უნგრეთში ჩაატარა.

ნაკრები მაკედონიაში 12 კალათბურთელით მიემგზავრება: ნიკა ღურწკაია (კარიბიან ბასკეტი, ესპანეთი), მაიზერ რევაზიშვილი (მაკაბი), შოთა ნარჩომაშვილი, გიორგი დვალი, თორნიკე ქიტოშვილი, ერეკლე ლორთქიფანიძე (ყველა რუსთავი), ლუკა ზაქრაძე, სანდრო სანაძე, ალექსანდრე ბოლქვაძე (ყველა ჰიუნდაი), არჩილ პულუზაშვილი (შსს აკადემია), კახაბერ ტომარაძე (აკადემია), უჩა გამრეკლიძე (ქუთაისი).

მიხეილ ბერუაშვილი, ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– პირველ რიგში მინდა ავღნიშნო, რომ ნაკრებში კარგი ატმოსფეროა და ბიჭები საბრძოლველად არიან განწყობილი. ეს ოპტიმიზმის საშუალებას გვაძლევს და შევეცდებით ა დივიზიონის საგზური მოვიპოვოთ. რამდენად გამოგვივა ეს სხვა საქმეა, თუმცა ყველაფერს ვეცდებით მიზნის მისაღწევად.

## შედეგები

**კონკაკაფის ოქროს თასი**

სალვადორი-ჰაიტი ...................... 1:0
ჰონდურასი-ტრინიდადი ............. 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როსტოვი-ტერეკი ........................ 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალისტი-მეტალურგი(დ) ....... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰელსინბორგი-ესტერი ................ 3:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-ჯჯკ .................................. 2:1

**ჩოგბურთი**

**ვტა. ბოსტადი**

ბენციკი-ტატიშვილი ....... 6:2;4:6;4:6
გარსია-დულჟერუ .................. 6:7;1:6
იოჰანსონი-კოენი .................. 6:2;6:3
ფიცენმაიერი-პერეირა .... 6:3;2:6;5:7

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# საოპერო თეატრები ესტონეთში მიდიან

ეკა ირემაშვილი

**21-28 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ესტონეთში გამართულ ფესტივალ „საარემაას ოპერის დღეებში“ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სამივე საოპერო თეატრი – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტისა და ბათუმის ოპერისა ბალეტის სახელმწიფო თეატრი.**

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა:

– „საარემაას ოპერის დღეები“ ბალტიისპირეთის რეგიონის უმთავრესი საოპერო ფესტივალია. მას წამყვანი ადგილი უკავია არა მხოლოდ კუნძულის, არამედ მთელი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და ტურისტულ ბიზნესში, რასაც საარემაასთვის 2011 წელს ყველაზე მეტად განვითარებადი ტურისტული ობიექტის ტიტულის მინიჭებაც ადასტურებს. საქართველოს საოპერო კოლექტივები მაყურებელთა წინაშე წარდგებიან შემდეგი ოპერებით: ქუთაისის თეატრი რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით შეასრულებს პუჩინის „მადამ ბატერფლაის“, ბათუმის თეატრი დავით მუქერიას დირიჟორობით დონიცეტის ოპერას „ლუჩია ლამერმურიდან“, თბილისის თეატრი ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით ააჟღერებს ვერდის „რიგოლეტოსა“ და „ატილას“. ამ ოთხივე ოპერის დამდგმელი რეჟისორია დავით საყვარელიძე. ყველა სპექტაკლში დაუკრავს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ასევე მსმენელთა წინაშე ფესტივალის დასკვნით გალა კონცერტზეც გამოვა ჯანლუკა მარჩიანოს ხელმძღვანელობით. ერთი საღამო კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს დაეთმობა, რომელიც წარმოადგენს ერთაქტიან ბალეტებს „საგალობელი“, „მოცარტიანა“ და „უფრთოდ ფრენა წყვდიადში“. მსმენელები გაიცნობენ თბილისის ოპერის თეატრის ფოლკლორული ანსამბლის „სულიკოს“ შემოქმედებასაც.

მისივე თქმით, ფესტივალის სტუმრების წინაშე წარდგებიან პაატა ბურჭულაძე, თეონა დვალი, ირაკლი კახიძე, გივი ჭიჭინაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ირინე ალექსიძე, გია ასათიანი, სულხან გველესიანი, ზონდო გოგია, გოჩა დათუსანი-ჯილაური, არმაზ დარაშვილი, თეა დემურიშვილი, ირინე თაბორიძე, კახაბერ თეთვაძე, როსტომ იაშვილი, ლეგი იმედაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, მარიკა მაჩიტიძე, გიორგი მახარაძე, ირაკლი მურჯიკნელი, ირინე რატიანი, ტარიელ ჭიჭინაძე, ანზორ ხიდაშელი, ასევე მომღერლები – იური ასლანიშვილი, იამზე გურჩიანი, ეკა ჯეჯელავა, ქუთაისის თეატრის სოლისტები ბადრი ადამია, თამთა გაბუნია, გივი თევდორაძე, აკაკი იოსელიანი, ინგა ფუტკარაძე, ნათია ჩაკვეტაძე, ემილ ჩარგაზია, სალომე ჯმუხაძე, ბათუმის თეატრის სოლისტები მამუკა ლომიძე, სულხან ჯაიანი, ინგა ჯახუტაშვილი.

– 2008 წლიდან ფესტივალის ორგანიზატორი გახდა უდიდესი საკონცერტო ორგანიზაცია ეესტი კონსერტ (დირექტორი – იური ლაიტენი), რომლის მეოხებითაც ფესტივალი იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ღია ცის ქვეშ გამართულ საერთაშორისო ფესტივალებს შორის. „საარემაას ოპერის დღეების“ წინამორბედია ფესტივალი „კურესსაარეს საოპერო დღეები“, რომელიც 1999 წლიდან იღებს სათავეს. ყოველ ზაფხულს ციხესიმაგრის ეზოში ეწყობა 2000 მაყურებელზე გათვლილი „საოპერო კარავი“ უმაღლესი დონის გახმოვანებისა და განათების სისტემებით.

„საარემაას ოპერის დღეების“ სამხატვრო ხელმძღვანელია არნე მიკი. შარშან ფესტივალ „საარემაას ოპერის დღეებს“ 12.000 მაყურებელი ესტუმრა. ფესტივალი თანამშრომლობს ესტონეთის ორივე დიდ საოპერო თეატრთან – ეროვნულ ოპერასთან „ესტონეთი“ და ვანემუინის თეატრთან. სხვადასხვა დროს „საარემაას ოპერის დღეებში“ მონაწილეობდნენ შავი ამერიკული ოპერა/ბროდვეი, ლატვიის ეროვნული ოპერის თეატრი, მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრი, მოსკოვის ოპერის თეატრი „ჰელიკონი“, ანკარის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ფესტივალის შემოქმედებითი სტუმრები იყვნენ ცნობილი მომღერლები და დირიჟორები ხოსე კურა, ნეემე იარვი, ერი კლასი, ანა აგლატოვა, ხიბლა გერზმავა, კარიტა მატილა, მატი სალმინენი, იააკო რიუჰანენი, აინ ანგერი, ანელი პეებო, კრისტინე გაილიტე, ნადია კრასტევა, მარიო ძეფირი, კარლოს მორენო, ეგილს სილინში, ჯონი ვან ჰალი, ტატიანა ონისიმოვა. მათი შესრულებით ფესტივალზე აჟღერდა მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“, დონიცეტის „მარიამ სტიუარტი“, როსინის „სევილიელი დალაქი“, ვერდის „ტრავიატა“, „ბალ-მასკარადი“, ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“, მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“, პუჩინის „ტურანდოტი“, „ბოჰემა“, „მადამ ბატერფლაი“, ოფენბახის „ჰოფმანის ზღაპრები“, გერშვინის „პორგი და ბესი“, ჯეი რაიზის „რასპუტინი“ და სხვა ცნობილი საორკესტრო ნაწარმოებები, ამჯერად კი „საარემაას ოპერის დღეების“ სტუმრებს ძირითად შემოქმედებით მასპინძლობას ქართველი ხელოვანები გაუწევენ, – ამბობს ზურაბ ოიკაშვილი.

# ეროვნულ არქივში საზაფხულო სკოლა გაიხსნება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მოწვევით თბილისში მყოფი საფრანგეთის კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ერიკ გარანდო და თურქეთში საფრანგეთის საკონსულოს რეგიონული ატაშე აუდიოვიზუალურ საკითხებში ფანი ობერ მალორი ეწვივნენ. სტუმრებს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე და ცენტრის სხვა თანამშრომლები ახლდნენ.

– ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორმა გიორგი კაკაბაძემ და მისმა მოადგილემ ნინო ძანძავამ სტუმრებს გააცნეს ეროვნულ არქივში კინომასალების დაცვის პირობები, დაათვალიერებინეს კინოფირების საცავები. ისაუბრეს იმ უნიკალურ კინოარქივზე, რომელსაც საქართველოს ეროვნული არქივში ინახება. მხარეები შეთანხმდნენ სამომავლოდ თანამშრომლობის გაღრმავებაზე, რაც გამოცდილების გაზიარებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას მოიცავს, – აღნიშნა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა.

ეროვნულმა არქივმა სტაჟიორთა შესარჩევი მორიგი კონკურსიც გამოაცხადა.

– შერჩეული კანდიდატები სტაჟირების კურსს 2013 წლის ივლისიდან ეროვნული არქივის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გაივლიან. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი განათლების მქონე ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს. აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია სახელმწიფო ენის, ეროვნული არქივის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ცოდნა და კომპიუტერთან მუშაობის უნარჩვევები. სტაჟიორები, რომლებიც კონკურსის შედეგების მიხედვით შეირჩევიან, 3-დან 6 თვემდე ვადით სტაჟირებას გაივლიან ცენტრალურ აპარატში, სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკაში, საისტორიო, უახლესი ისტორიისა და თბილისის ცენტრალურ არქივებში, აღმოსავლეთ საქართველოს (ლილოს) არქივსა და ფოთის ადგილობრივ არქივში. სტაჟიორებს საშუალება ექნებათ, გაიღრმავონ თეორიული ცოდნა, ამასთან გაეცნონ საარქივო საქმიანობის პრაქტიკული მხარეს. პროგრამის დასრულების შემდეგ წარმატებულ სტაჟიორებს გადაეცემათ სერტიფიკატები. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება ჩვენს საიტზე შეეძლებათ, – აცხადებს თეა ქიმერიძე.

# გურამ ოდიშარია საქართველოს რეგიონებს სტუმრობდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტომოს მიერ აშენებული უძველესი სახლები და სარდაფები. სამინისტროს დელეგაციასთან ერთად ბოლნისში იმყოფებოდა გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი ორთვინ ჰენიგი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ანდრეა მაინცერი, ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში ოლივერ რაისნერი და გერმანიის საელჩოს კულტურის ატაშე ჰაიკე გაბრელი.

გურამ ოდიშარია, საქართველოს რეგიონებში მოგზაურობის პარალელურად, აგრძელებს სამინისტროს ბენეფიციარებთან შეხვედრას. შემდეგი პროექტი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა, საქართველოს ფარგლებს გარეთ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის გასტროლების მხარდაჭერას გულისხმობს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ქართული თეატრის წარმატებულ გასტროლებთან დაკავშირებით მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ქეთი დოლიძეს შეხვდა.

2012 წლის თებერვალში თუმანიშვილის თეატრში თურქი დრამატურგის თუნჯერ ჯუჯენოღლუს, პიესის მიხედვით დაიდგა სპექტაკლი „ზვავი“ (რეჟისორი რუსუდან ბოლქვაძე). მარტში თეატრი ამ სპექტაკლით მიიწვიეს ანკარის საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც უკვე 17 წელია ტარდება. სამინისტროს მხარდაჭერით თეატრის დასი ანკარის საერთაშორისო ფესტივალზე წარდგა, სწორედ ქართული სპექტაკლით დაიხურა თურქეთის საერთაშორისო ფესტივალი და რუსუდან ბოლქვაძის მიერ დადგმული სპექტაკლის ჩვენებამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ლონდონში მცხოვრები ქართული დიასპორისთვის წარმოდგენილი იქნა შემდეგი სპექტაკლები: თეატრი ათონელზე „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო!“ (რეჟისორი ქეთი დოლიძე, მონაწილეობენ ნინელი ჭანკვეტაძე, ნანა ფაჩუაშვილი, რამაზ იოსელიანი, ნუგზარ რუხაძე –– თეატრი ათონელზე), სპექტაკლი „ჩემი თაობის ავტოპორტრეტი“ (რეჟისორი ნანა კვასხვაძე, მსახიობი ქეთი დოლიძე, თუმანიშვილის თეატრი), სპექტაკლი „კაბა“ (რეჟისორი ჰილარი ვუდი, მსახიობი თამარ ბზიავა, თუმანიშვილის თეატრი). საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო თუმანიშვილის თეატრთან თანამშრომლობას მომავალშიც გეგმავს.

შემდეგი პროექტი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა „ბრავო რექორდსთან“ ერთად ჯგუფ ელდრაინის სიდი ალბომის გამოშვებაა. ამ პროექტთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას ხმის ჩამწერი სტუდიის „ბრავო რექორდსის“ დამფუძნებელი ზაზა შენგელია ეწვია. ჯგუფმა „ელდრაინმა“ პირველი სიდი ალბომი გამოსცა, რომელიც ეძღვნება ავღანეთში აისაფის მისიაში მონაწილე საქართველოს და ყველა სხვა ქვეყნის ჯარისკაცს. ახალი ალბომის პრეზენტაცია კონცერტის სახით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში უკვე გაიმართა. ახლო მომავალში იგეგმება ჯგუფის გასვლითი კონცერტი ავღანეთში, სადაც ისინი წარადგენენ აღნიშნულ ალბომს, საკონცერტო პრეზენტაციის სახით, აისაფის მისიაში მონაწილე საქართველოსა და სხვა ქვეყნის ჯარისკაცების წინაშე.

პროექტის „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბენეფიციარების შეხვედრა მინისტრთან“ ფარგლებში გურამ ოდიშარიამ შეხვედრა გამართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველ გიორგი ჟორდანიასთან. სამინისტროს მხარდაჭერით თბილისის ოპერამ განახორციელა მრავალი პროექტი. უწყებამ მხარი დაუჭირა ბათუმის მუსიკალურ ცენტრში სპექტაკლის „ლუჩია ლამერმურიდან“ დადგმას, ასევე ხელი შეუწყო ოპერის საფორტეპიანო ტრიოს „სემპრეს“ აჭარის რეგიონში კონცერტებისა და მასტერკლასების ჩატარებას. სამინისტროს ორგანიზებით თეატრის დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში განხორციელდა ცვლილებები. სამინისტროს მხარდაჭერით კი 20-28 ივლისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მიემგზავრება ესტონეთში, კუნძულ საარემააზე დაგეგმილ ყოველწლიურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

გურამ ოდიშარიამ პროექტის „ეროვნული ტრენინგები საქართველოს მუზეუმების მენეჯერებისა და კურატორებისათვის“ მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცა. ეროვნული ტრენინგების პროგრამა საქართველოს მუზეუმების მენეჯერებისა და კურატორებისათვის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ხორციელდება.

– ტრენინგებში მონაწილეობს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მუზეუმების 100-მდე წარმომადგენელი, რომლებიც იღებენ თანამედროვე სტანდარტის მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს სამუზეუმო მენეჯმენტის საკვანძო საკითხებზე, მუზეუმის განვითარების კონცეფციის შემუშავების, სამუზეუმო ექსპოზიციების მენეჯმენტის, სამუზეუმო კოლექციების მოვლის, მუზეუმის აუდიტორიის კვლევის, მუზეუმში დამატებითი სახსრების მოზიდვის (ფანდრაიზინგი), სამუზეუმო მარკეტინგისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ტრენინგები ტარდება სამუზეუმო საქმის ქართველ ექსპერტთა ხელმძღვანელობით, რომლებსაც გავლილი აქვთ სტაჟირება და ტრენინგ-პროგრამები ამერიკის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, ავსტრიის, იტალიის, ფინეთის, ლატვიისა და სხვა ქვეყნების მუზეუმებში, რაც წარმოადგენს პროექტის ეფექტურად და მაღალ დონეზე განხორციელების მნიშვნელოვან გარანტს, – ამბობს გურამ ოდიშარია.

მისივე თქმით, ანალოგიური ტრენინგების ორგანიზება ხელს შეუწყობს ქვეყნის მუზეუმებში ქმედითი რეფორმის განხორციელებას, სამუზეუმო მენეჯმენტის დონის ამაღლებას, განვითარების ინოვაციური სტანდარტების დანერგვას, მოძველებული ექსპოზიციების განახლებას, მუზეუმებში კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა პროგრამების განვითარებას საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მუზეუმების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლას XXI საუკუნის მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

კულტურის მინისტრმა პირველ მოადგილე მარინე მიზანდართან ერთად მეტეხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი მოინახულა. მათ ტაძრის წინამძღვარ მამა აკაკისთან, მრევლთან კობა ხარბედიასთან და არქიტექტორ ნოდარ მინდორაშვილთან ერთად დაათვალიერეს ტაძარი, რომელიც დაუყოვნებლივ სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებს.

– აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ტაძრის კვლევითი და გადახურვითი სამუშაოების დასრულებას გეგმავს, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა შეხვედრა გამართა გერმანიის დასაქმების ცენტრალური სააგენტოს ხელმძღვანელთან ურსულა იოხმუსთან და გერმანიაში მოღვაწე საოპერო მომღერალ გიორგი დარბაიძესთან. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მიზნად სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გეგმების შემუშავებას ისახავდა.

მინისტრმა მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილთან ერთად კულტურის სამინისტროს თანამშრომელი ბარბარე ფოფხაძე მოინახულა, რომელსაც სამი ტყუპი შეეძინა. გურამ ოდიშარიამ, სამინისტროს სახელით, პატარებს ქეთევანს, გიორგისა და შალვას საჩუქრად საბავშვო ეტლები გადასცა.

გურამ ოდიშარიამ მუსლიმან თანამემამულეებს წმინდა რამაზანის დაწყებაც მიულოცა:

– ვულოცავთ ჩვენს მუსლიმან თანამემამულეებს წმინდა რამაზანის დაწყებას, ვუერთდებით მათ რელიგიურ სიხარულს და ვუსურვებთ სულიერ სიმშვიდეს. თითოეული მოქალაქე ჩვენი ქვეყნის შვილია. გვეცხოვროს ძლიერ, ერთიან და თავისუფალ საქართველოში! – აცხადებს გურამ ოდიშარია.

## კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. ბედ-იღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 2. კუთხე საქართველოში; 3. ამერიკელ ინდიელთა ნადირის ტყავის, რბილი ფეხსაცმელი; 4. უმსხვილესი ჩინური ნავთობკომპანია; 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8. თაღლითი, ყალთაბანდი; 12. მეფის ან დედოფლის საყვარელი; 14. ბროშში ან ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 16. ქალაქი იმერეთში; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 19. გადასახადი სახელმწიფოში შემოტანილ საქონელზე; 20. ქალაქი ჩეხეთში.

**თარაზულად**: 5. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 6. შვეციის დედაქალაქი; 9. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 13. დამარილებული, შებოლილი, გამხმარი ღორის ხორცი; 15. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 18. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 21. ცვილის დიდი სანთელი; 22. ქართველი მწერლის კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 23. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „კარასკო“; 2. ბრიჯი; 3. მეტაფორა; 4. სედანი; 5. კატრანი; 6. რეფორმა; 11. კიური; 13. ტრაპეზი; 14. პომოლოგია; 15. მაკედონია; 17. ლეგატი; 18. კრუპიე; 19. „ლელა“.

**თარაზულად:** 7. ჩაქურა; 8. „ფენერბახჩე“; 9. დარაჯი; 10. ტალავერი; 12. ვოლტიჟიორი; 14. პრიზმა; 16. კლიასერი; 18. კომუნიკე; 20. მუმლი; 21. ოდა; 22. ზარზუელა; 23. ჯინი; 24. სამტრედია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კაეშანი; 2. ნადალი; 3. ანეკდოტი; 4. დიფუზორი; 7. სეგტაიმი; 8. დეპოზიტი; 12. ეპიკარდი; 14. კოსინუსი; 16. „იაგუარი“; 17. ბარხანი; 19. ხაჭო; 20. ლაპი.

**თარაზულად:** 5. საქსონია; 6. მონუმენტი; 9. „საირმე“; 10. ლიკუდი; 11. სპილო; 13. „აპაჩი“; 15. ჯოკერი; 18. ტანგო; 21. ნუმიზმატი; 22. „არლანდა“; 23. კორნეტი.

# ეგვიპტეში შეტაკებებს შვიდი ადამიანი ემსხვერპლა

ეგვიპტეში წუხანდელ შეტაკებებს შვიდი ადამიანი ემსხვერპლა. უცხოური მედიის ინფორმაციით, 260-მდე ადამიანმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. 137 დაშავებული საავადმყოფოებიდან გაწერეს, ხოლო სამკურნალო დაწესებულებებში 124 ადამიანი რჩება.



შეტაკებები გადაყენებული პრეზიდენტის, მუჰამედ მურსის მხარდამჭერებსა და სამართალდამცავებს შორის მოხდა. ორი ადამიანი კაიროს ცენტრში მდებარე ხიდთან მოკლეს, ხოლო ხუთი კაიროს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ გიზაში.

დემონსტრანტები კაიროში გზის გადაკეტვასაც ცდილობდნენ, თუმცა მათ ამის საშულება სამართალდამცავებმა არ მისცეს.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტეში მურსის მოწინააღმდეგეები და მომხრეების საპროტესტო აქციებს მართავენ.

ეგვიპტის დროებითმა პრეზიდენტმა ადლი მანსურმა გასულ კვირას განაცხადა, რომ მალე ქვეყანაში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდებოდა, თუმცა მას კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებია. ეგვიპტის უკვე ყოფილი პრეზიდენტი მუჰამედ მურსი ეგვიპტის არმიამ თანამდებობიდან რამდენიე დღის წინ გადააყენა.

მურსის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები ეგვიპტეში 30 ივნისს დაიწყო, რომელიც შემდეგ შეტაკებაში გადაიზარდა.

# ბრიტანელი მოცურავე ლა-მანშის სრუტის გადაცურვის დროს დაიღუპა

ბრიტანელი მოცურავე სუზან ტეილორი ლა-მანშის სრუტის გადაცურვის დროს დაიღუპა. გაცურვა მან ბრიტანეთიდან დაიწყო, ხოლო როდესაც უკვე ფრანგულ მიწებს მიაღწია, მოულოდნელად წყალში ჩაძირვა დაიწყო.

34 წლის მოცურავე ვერტმფრენის მეშვეობით საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ რატომ გახდა მოცურავე წყალში ცუდად, თუმცა როგორც საფრანგეთის ხელისუფლება აცხადებს, ქალბატონი „დიდ სირთულეებს" წააწყდა.




სრუტის გადაცურვის მიზანი იყო თანხის შეგროვება ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის, რომელიც დიაბეტით დაავადებულ ბავშვებს ეხმარება.

ლა-მანშის სრუტე სულ 34 კმ-ს წარმოადგებს. გადაცურვას ართულებს წყლის დაბალი ტემპერატურა, რომელიც ზაფხულშიც კი არ აღემატება 17 გრადუს ცელსიუსს, ასევე სხვადასხვა დინებები და ტალღები. ლა-მანშის გადაცურვების ისტორიაში სულ რვა ადამიანი დაიღუპა.

სრუტის სიგრძეა 57,8 კმ., სიგანე – დასავლეთ ნაწილში 250 კმ., აღმოსავლეთით 32 კმ., სიღრმე მინ. ფერვატრზე 23,5 მ. ლა-მანშის ქვეშ (დუვრსა და კალეს შორის) გაყვანილია გვირაბი (მთლიანი სიგრძე 52,5 კმ., მონაკვეთი უშუალოდ სრუტეს ქვეშ 38 კმ.).

ძირითადი პორტებია: პორტსმუტი, საუტჰემპტონი, გავრი, შერბური.

# აზერბაიჯანის მოსახლეობამ 9,4 მილიონს გადააჭარბა

2013 წლის 1 ივლისის მონაცემებით, აზერბაიჯანის მოსახლეობამ 9,412 მილიონ ადამიანს მიაღწია. სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, მოსახლეობის 53,1% ქალაქებშია თავმოყრილი, 46,9 % კი სოფლად ცხოვრობს.



ქალები მოსახლეობის 50,3%-ს შეადგენენ, მამაკაცები- 49,7%-ს. ამ წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში 83,1 ათასი ბავშვი დაიბადა, მათგან 53,6% ვაჟია, 46,4%- გოგონა.

მთიანი ყარაბაღის გამო მეზობელ სომხეთთან კონფლიქტმა, აზერბაიჯანში 1988-89 წლებში არეულობა გამოიწვია. 1990 წელს საბჭოთა ჯარები შევიდნენ ბაქოში „წესრიგის დასამყარებლად" და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. 1991 წელს აზერბაიჯანის ლიდერებმა მხარი დაუჭირეს მოსკოვურ პუტჩს.

ქვეყანამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და 1991 წელს დსთ-ში შევიდა. 1992 წელს გაეროს წევრი გახდა. განახლდა ომი მთიან ყარაბაღში. ნაციონალისტმა პრეზიდენტმა ა. ელჩიბეიმ ადგილი დაუთმო ყოფილ კომუნისტურ ლიდერს ჰ. ალიევს. 1994 წელს, ეუთოს წევრი ქვეყნების მონაწილეობით მიღწეული იქნა დროებითი ზავი, თუმცა კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელია – ტერიტორიის მეშვიდედი ოკუპირებულია და ქვეყნას 800 ათასი ლტოლვილი ჰყავს.

2001 წელს აზერბაიჯანი ევროპის საბჭოს წევრი გახდა

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# პანამაში ჩრდილოკორეული გემი დააკავეს

პანამაში დაკავებული ჩრდილოკორეული გემის ბორტზე, სავარაუდოდ არადეკლარირებული იარაღი იყო განთავსებული. აღნიშნული გემი კუბადან, პანამის არხის გავლით, ჩრდილოეთ კორეაში მიცურავდა. ამის შესახებ პანამის პრეზიდენტმა რიკარდო მარტინელიმ განაცხადა.



„ჩვენ გვქონდა ეჭვი, რომ ხომალდს გადაჰქონდა ნარკოტიკები და ჩვენ ის პორტში გავგზავნეთ შესამოწმებლად", – აღნიშნა ქვეყნის პრეზიდენტმა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე. მისი თქმით, გემის შემოწმებისას, შაქრის ტვირთების ქვეშ აღმოჩენილ იქნა „კონტეინერები, რომლებშიც სვარაუდოდ სარაკეტო ტექნიკა ინახებოდა".

მარტინელის განცხადებით, პანამელი პოლიციელების გამოჩენის შემდეგ, გემის კაპიტანმა თვითმკვლელობა სცადა, ეკიპაჟმა კი ბუნტის მოწყობა გადაწყვიტა.

გემი ახლა პორტში სპეციალურ ადგილას იმყოფება, სადაც მისი უფრო დეტლური შემოწმება უნდა მოხდეს.

„მსოფლიო საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ პანამის არხი – ეს მშვიდობის არხია და მასზე არადეკლარირებული შეიარაღების გადატანა დაუშვებელია", – აღნიშნა პანამის პრეზიდენტმა.

პანამის უშიშროების მინისტრის ხოსე რაულ მულინოს თქმით, გამომძიებლების განსაკუთრებული ყურადღება ჩხრეკის დროს გემის კაპიტანის და ეკიპაჟის აგრესიულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია.

ჩრდილოეთ კორეას, ატომური იარაღის გამოცდების გამო, გაერომ საქნციები დაუწესა. მას ყველანაირი იარლის, გარდა მსუბუქი შეარაღებისა, იმპორტი ან ექსპორტი აქვს აკრძალული.

# ედვარდ სნოუდენმა რუსეთს თავშესაფრის თხოვნით მიმართა



ამერიკული სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა, რუსეთის ფედერალურ მიგრაციულ სამსახურს დროებითი თავშესაფრის მიცემის თხოვნით მიმართა.

მისი ადვოკატის ანატოლი კუჩერენის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ სნოუდენს აეროპორტ „შერემეტიევოს" ტრანზიტული ზონის დატოვება არ შეუძლია, მან განცხადება რუსეთის მიგრაციული სამსახურის სპეციალურად მიწვეულ თანამშრომელს გადასცა.

რუსეთში დროებითი თავშესაფრის მიღების სურვილთან დაკავშირებით სნოუდენმა ჯერ კიდევ 12 ივლისს, აეროპორტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ის რუსეთში შედარებით უსაფრთხოდ გრძნობს თავს, თუმცა მოგვიანებით ლათინურ ამერიკაში ისურვებდა გადასვლას.

ამერიკული სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომლება გავლენიან რუს დეპუტატებს, ადვოკატებსა და უფლებადამცველებს სთხოვა, გავლენა იქონიონ ქვეყნის ხელისუფლებაზე, რათა მან თავშესაფრის მიღება რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს.

ამასწინათ, რუსეთის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, სნოუდენს თავშესაფარი მისცეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ ის აშშ-ისთვის საზიანო საქმიანობას შეწყვეტდა. სნოუდენმა კი, განაცხადა, რომ ის არ აპირებს ზიანი მიაყენოს თავის ქვეყანას, მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კი მიზანდ ისახავს, საზოგადოებას აჩვენოს, თუ როგორ ბოროტად იყენებს ხელისუფლება სპეცსამსახურების შესაძლებლობებს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ამერიკის ხელისუფლებამ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი ედვარდ სნოუდენი რუსეთში „დაბლოკა".

პრეზიდენტის თქმით, ინფორმატორი ამ ქვეყანას აუცილებლად დატოვებდა, ამის შესაძლებლობა რომ ჰქონდეს. კითხვაზე: რა ელის სნოუდენს?-პუტინმა უპასუხა: „მე საიდან უნდა ვიცოდე? ეს მისი ცხოვრება, მისი ბედია".

ივლისის დასაწყისში, სწორედ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთში თავშესაფრის მისაღებად სნოუდენს ანტიამერიკული საქმიანობის შეწყვეტა მოუწევდა. შეგახსენებთ, რომ სნოუდენი ჰონგ კონგიდან მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში ივნისის ბოლოს ჩაფრინდა და ამის შემდეგ აეროპორტის სანტრანზიტო ზონაში იმყოფება.

„ბი-ბი-სის" ცნობით, პუტინმა განაცხადა, რომ სნოუდენმა უკვე დაიწყო საკუთარი პოზიციის გადახედვა. თუმცა, პრეზიდენტმა დაამატა, რომ სნოუდენს რუსეთში დარჩენა არ სურს და სხვა ქვეყანაში სურს ჩასვლა.

„ის ჩვენს ტერიტორიაზე მოწვევის გარეშე აღმოჩნდა; ის ჩვენთან არ მოფრინავდა, იგი ტრანზიტით მიფრინავდა სხვა ქვეყნებში. თუმცა, როდესაც ის ჰაერში აღმოჩნდა ეს ცნობილი გახდა და ჩვენმა ამერიკელმა პარტნიორებმა მისი შემდგომი გაფრენა დაბლოკეს. მათ შეაშინეს სხვა ქვეყნები, რომლებსაც აღარ სურთ სნოუდენი მიიღონ და ამრიგად ამერიკამ თავად დაბლოკა სნოუდენი ჩვენს ტერიტორიაზე",-აღნიშნა პრეზიდენტმა.

# ესპანეთი ბოდიშს იხდის

ესპანეთი ბოლივიის პრეზიდენტის თვითმფრინავთან დაკავშირებული სიტუაციის გამო ბოდიშს იხდის. შესაბამისი დიპლომატიური ნოტა ბოლივიის ხელისუფლებას, ქვეყანაში ესპანეთის ელჩმა ანხელ ვასკესმა გადასცა.



„ესპანეთი ღრმა სინანულს გამოთქვამს მომხდარი ფაქტის გამო. ვწუხვართ, რომ ეს ინციდენტი მოხდა. ვიხდით ბოდიშს და ვფიქრობთ, ამით სიტუაცია მაოიწურა", – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ბოლივიის ხელისუფლებას ჯერ-ჯერობით არ გაუკეთებია ოფიციალური კომენატრი, იღებს თუ არა ესპანეთის ბოდიშს.

შეგახსენებთ, რომ თვითმფრინავი, რომლითაც ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი, რუსეთიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, იძულებული გახდა ვენაში დაუგეგმავი დაჯდომა განეხორციელებინა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ – ესპანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ და პორტუგალიამ მას საკუთარი საჰაერო სივრცის გამოყენების უფლება არ მისცა.

აღნიშნული მიზეზი გახდა, ევროპული ქვეყნების ეჭვი, რომ საპრეზიდენტო ლაინერის ბორტზე ცრუ-ს ყოფილი თანამშრომელი ედვარდ სნოუდენი იმყოფებოდა.

ბოლივიის ხელისუფლებამ აღნიშნული ინციდენტი დაგმო და შეაფასა, როგორც „მორალესის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა, საერთაშორისო შეთანხმებების უხეში დარღვევით".

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთმა ბოლივიას, ქვეყნის პრეზიდენტის თვითმფრინავისათვის საჰაერო სივრცის გამოყენებაზე უარის თქმის გამო, ბოდიში უკვე მოუხადა.

საფრანგეთის დიპლომატიური უწყების განცადებაში საუბარია, რომ „საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მის ბოლივიელ კოლეგას დაურეკა და მწუხარება გამოთქვა მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით".

ამ ინციდენტმა ლათინური ამერიკის ლიდერები გააღიზიანა – მაგალითად არგენტინის პრეზიდენტმა კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა განაცხადა, რომ „ეს მთელი სამხრეთ ამერიკის კონტინენტის შეურაცხყოფაა".

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
17 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ჭორიკანა**" **17.00** "აღმოაჩინე საქართველო" **17.30** "AQUA – GEORGIA" **18.00** დ/ფ "მეცნიერების ისტორია" **19.05** ტ/სერ "**მაგდა ემი**" **21.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.00** ტ/სერ "**ნიკიტა**" **23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** მხ/ფ "**პოსეიდონი**" (კ.რასელი) **01.20** "დღეს ორის ნახევარზე"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **14.00** დ/ფ "ევა ჟოლი" **16.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **3** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ფულთან თამაში **23.00** მხ/ფ. "**გაქცევა შაუშენკიდან**" (ტ.რობინსი) **02.00** მხ/ფ. "**ფესტივალი კანში**" (პ.ბოგდანოვიჩი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** ნანუკას შოუ. **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.20** მხ/ფ "**ბიძაჩემი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი(გუჯა ნარიმანაშვილი - ანდრია კრეტელის კანონის შესახებ) **11.00** გიხაროდენ ქალწულო და დედაო **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **12.40** ღია აუდიტორია **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** ისტორიის გაკვეთილი **16.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.50** კვირიაკე **18.05** ტელეზღაპარი **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ჩიორა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ქართული გამბიტი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.15** ნიამორი

მაესტრო **7.00, 23.30, 1.00, 3.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **8.20, 9.15** მაგთიფანი (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 15.30, 6.30** ფარული კამერა **12.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **14.40** "ყოველდღიური ამბები"(გამ.) **16.00** **სერიალი "შტორმი"** **18.05, 0.00, 3.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **22.00, 1.30, 4.30** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები"

tv 9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05, 20.00** **სერიალი "ტკბილი შხამი"** **12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** რაც დარჩა სათქმელი **16.10** გრიფის გარეშე **17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6543

ევრო — 2,1549

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4902

100 რუსული რუბლი — 5,0711

## ამინდის პროგნოზი 17 ივლისისთვის




# „საბას“ ფინალისტები ცნობილია

ეკა ირემაშვილი

2013 წლის ლიტერატურულ კონკურს „საბას“ პირველი ეტაპი დასრულდა და, შესაბამისად, ფინალისტებიც ცნობილია. კონკურსის ჟიურიმ „საბა“ წლევანდელი ფინალისტების წარდგენილი 265 წიგნიდან გამოავლინა და ფინალურ ეტაპზე 60 საუკეთესო წიგნი წარადგინა.



კონკურსის წარმომადგენელი მაია ძირკველიშვილი აცხადებს:

– ფინალისტებს შორის გამარჯვებულები სექტემბერში დასახელდებიან. „საბას“ რიგით მე-11 საზეიმო დაჯილდოება სექტემბრის შუა რიცხვებში გაიმართება, რომელზეც კონკურსის ჟიური გამარჯვებულ ავტორებს 10 ნომინაციაში გამოავლენს და დააჯილდოებს „საბას“ პრიზითა და ფულადი პრემიებით. საპრემიო ფონდი 44 ათას ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს „საბას“ კონკურსის დამფუძნებელი და ორგანიზატორი თიბისი ბანკი გადასცემს.

მისივე განცხადებით, ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნა თიბისი ბანკმა, პენ-ცენტრმა და რუსთავი-2-მა. პრემიის მიზანია წლის საუკეთესო წიგნების გამოვლენა. ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები, უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი და, ასევე, ქართული ნაწარმოების უცხოური თარგმანები. ცალკე გაიცემა პრემია „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“, რომელიც სხვადას-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# გურამ ოდიშარია საქართველოს რეგიონებს სტუმრობდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია საქართველოს რეგიონებს სტუმრობდა. მასთან ახლდა პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი. ამჯერად მინისტრის სამუშაო ვიზიტი ლანჩხუთის რაიონში დაიგეგმა.

ვიზიტის ფარგლებში გურამ ოდიშარია ესტუმრა ეგნატე ნინოშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ლანჩხუთის კულტურის ცენტრს. ვიზიტის დასასრულს, მინისტრმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ დაათვალიერეს ლანჩხუთის ცენტრალური ბიბლიოთეკა და აქვე გამართეს შეხვედრა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ასევე კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან.

გურამ ოდიშარია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ დუმბაძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებსაც დაესწრო. სამი დღის განმავლობაში ჩოხატაურში დაიგეგმა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნოდარ დუმბაძის 85 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებები, რომელსაც მარინე მიზანდარიც შეუერთდა.



მწერლის დაბადების დღეზე ჩოხატაურის ცენტრში მდებარე ნოდარ დუმბაძის სახელობის სკვერში მისი ბიუსტი ყვავილებით შეამკეს, გაიხსნა საიუბილეო დღეები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სახალხო თეატრის მსახიობებმა გამართეს წარმოდგენა – ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებიდან „მე ვხედავ მზეს“, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლაში მოეწყო მხატვრული კითხვა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხასანბეგურამ“ კონცერტი ჩაატარა, შედგა სტუმრების მიღება ნოდარ დუმბაძის სახელობის სახლ-მუზეუმში, სოფელ ხიდისთავში, მოეწყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პირველობა ლახტში, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „კუკარაჩა“ (რეჟისორი შალვა გაწერელია), რომელიც კინოთეატრ „გურიაში“ გათამაშდა.

ნოდარ დუმბაძის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები 17 ივლისსაც გაგრძელდება. იგეგმება ჩოხატაურის ცენტრში მდებარე ნოდარ დუმბაძის სახელობის სკვერში ბიუსტის შემკობა ყვავილებით მეექვსე საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეზიის ფესტივალის „მთელი ხმით“ მონაწილეების მიერ; საბავშვო ნახატების გამოფენის გახსნა „მე ვხედავ მზეს“; ნოდარ დუმბაძის საბავშვო რუსულ-ქართული გამოცემის „ლექსები ბავშვებს“ პრეზენტაცია; ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში სტუმრობა სოფელ ხიდისთავში; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის „გურიის“ კონცერტი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სახალხო თეატრის იმპროვიზებული გამოსვლა; ნოდარ დუმბაძის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგ ლია თოდუას მიერ მხატვრული კითხვა; №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის ნინო კუტალაძის მხატვრული კითხვა; კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ილეკროს“ (ხელმძღვანელი ე. სანიკიძე) კონცერტი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ეთნო ჯაზ-ბენდის „გურული ბიჭების“ (ხელმძღვანელი გ. გათაშვილი) კონცერტი.

ნოდარ დუმბაძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები 19 ივლისს დასრულდება. წარმოდგენილი იქნება ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით სახალხო თეატრის სპექტაკლი „სისხლის ძახილი“ (რეჟისორი გ. ცინცაძე); ნოდარ დუმბაძის საიუბილეო დღეების დახურვა კი კინოთეატრ „გურიაში“ შედგება.

კულტურის მინისტრი სამუშაო ვიზიტით ბოლნისშიც იმყოფებოდა. მარინე მიზანდართან ერთად დელეგაციამ მოინახულა ბოლნისში არსებული გერმანული სათვის-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! შემოქმედებითი დღეა

## ასტროპროგნოზი 17 ივლისისთვის

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ნურავის ენდობით, ინფორმაცია გადაამოწმეთ. **კირჩხიბი** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** – წარმატებული დღეა, ყველაფერს მიაღწევთ. **ქალწული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – თავს მიხედეთ, სხვები მოიცდიან. **ღრიანკალი** – დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა, პრობლემები არ გაწუხებთ. **თხის რქა** – დაისვენეთ და გაერთეთ, არ გადაიღალოთ. **მერწყული** – დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **თევზები** – საღამო მშვენიერი იქნება, დასაჩუქრდებით. გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ვენესუელას დედაქალაქი; 4. ქართველ ქალთა ცეკვა; 5. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 6. ღამის პეპელა; 11. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 13. ძალიან ლამაზი ბაღი; 14. ზეთით მდიდარი კურკოვანი ნაყოფის მქონე მარადმწვანე ხე; 15. უნგრეთის დედაქალაქი; 17. იპოდრომი ლონდონის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 18. სიბრტყეზე ჰორიზონტალური მდგომარეობის დასადგენი სადურგლო ხელსაწყო; 19. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული კუზიანი ხარი.

**თარაზულად**: 7. დაბადების დღის აღნიშვნა; 8. კუბელი დიპლომატი, მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი; 9. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 10. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 12. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 14. მორალი ანუ ...; 16. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 18. მწვერვალი კავკასიონზე; 20. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 21. ჯარის, ლაშქრის ძველებური სახელწოდება; 22. ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათება, აღწერა; 23. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 24. მდინარე გურიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვაზე უარი თქვა

ამერიკის შტატ კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ 15 ივლისს აპელაცია უარყო, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციის აკრძალვას გულისხმობდა.

აპელაცია ერთსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგეებმა 30 ივნისს შეიტანეს, მას შემდეგ რაც ერთსქესიანთა ქორწინება მთელი შტატის მასშტაბით განახლდა.

26 ინვისს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა ერთსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციის აკრძალვის მოთხოვნის განხილვაზე, თუმცა აღნიშნულის მომხრეები ირწმუნებოდნენ, რომ მათ 25 დღე ჰქონდათ რათა ამ საკითხის ხელმეორედ განხილვისათვის მიეღწიათ.

საკუთარი გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ იმით ახსნა, რომ გუბერნატორი და შტატის გენერალური პროკურორი მხარს აღარ უჭერენ შტატის კონსტიტუციაში შეტანილ შესწორებას, რომელიც ერთსქესიანთა კავშირს კრძალავს.

კალიფორნიის შტატის კონსტიტუციაში შეტანილი შესწორება, სადაც ქორწინებად მხოლოდ მამაკაცისა და ქალის კავშირია განსაზღვრული, 2008 წელს რეფერენდუმის შედეგად მიიღეს. თუმცა, შემდეგ რეფერენდუმის შედეგები სასამართლოებში გაასაჩივრეს და 2012 წლის თებერვალში ეს შესწორება არაკონსტიტუციურად სცნეს.



დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატამ კი მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას გულისხმობს.

ახლა კანონპროექტი განსახილველად ქვედა პალატაში გადაიგზავნება. როგორც აღნიშნავენ, თემთა პალატაში კანონპროექტს წინააღმდეგობა არ ელის, რადგან პარლამენტის ქვედა პალატა მას ხმების უმრავლესობით დაუჭერს მხარს.

ანგლიკანური საზოგადოების ხელმძღვანელმა, არქიეპისკოპოსმა ჯასტინ უელბიმ დაგმო აღნიშნული კანონპროექტი: „ანგლიკანური ეკლესიისათვის ქორწინება ყოველთვის დარჩება ქალისა და მამაკაცის კავშირად“,-აღნიშნა უელიბიმ.

პირველი ქვეყანა სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა, ნიდერლანდები იყო.

გ. მ.

# მეცხრე არხი 19-წლამდელთა მატჩებს გვაჩვენებს

19 წლამდე ფეხბურთელთა შორის უეფას 2013 წლის ევროპის ჩემიონატის შეხვედრების ტელერეპორტაჟს საქართველოში ტელეკომპანია მეცხრე არხი უზრუნველყოფს. საქართველოს 19 წლამდე ნაკრები ლიტვაში ჯგუფურ ეტაპზე სამ შეხვედრას ჩაატარებს.

20 ივლისი: საფრანგეთი-საქართველო (20.00);
23 ივლისი: სერბეთი-საქართველო (19.30);
26 ივლისი: საქართველო-თურქეთი (17.30);

ტელეკომპანია მეცხრე არხი საქართველოს ნაკრების მონაწილეობით ჯგუფური ეტაპის მხოლოდ ორ შეხვედრას გადასცემს. სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატის სატელვიზიო უფლებების მფლობელი „ევროსპორტი“ – თურქეთისა და საქართველოს მატჩის ტრანსლაციას არ გეგმავს.

ტელეკომპანია მეცხრე არხი 19 წლამდე საფეხბურთო ნაკრებთა მონაწილეობით პირდაპირ ეთერში სულ ხუთი შეხვედრის რეპორტაჟს გეგმავს. ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს მონაწილეობით გასამართი ორი მატჩის გარდა, ქართველი მაყურებელი ნახევარფინალური ეტაპის ორ შეხვედრას და ფინალურ დაპირისპირებასაც იხილავს.

მ. ჟ.



ლურჯი წითელი ყვითელი შავი